# ბორჯომის მუნიციპალიტეტი

# ბორჯომის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი

## (2024 - 2027)

2023 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. დოკუმენტის არსი ........ 1
2. სანართლებრივი ჩარჩო ........ 1
3. ჰარმონიზაცია ეროვნულ დოკუმენტებთან ........ 2
4. დოკუმენტის შემუშავების პროცესი ........ 2
5. წინასიტყვაობა ........ 4
6. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა ........ 4
6.1. გეოგრაფიული მდებარეობა ........ 4
6.2. წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები ........ 5
6.3. დემოგრაფია ........ 8
7. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ........ 12
7.1. სოფლის მეურნეობა ........ 14
7.2. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა ........ 18
7.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო ........ 20
8. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა ........ 23
8.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა ........ 23
8.2 ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა ........ 28
9. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა ........ 30
9.1. ჯანდაცვა და ამ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ........ 30
9.2. სოციალური მომსახურება ........ 31
10. განათლება, კულტურა და სპორტი ........ 35
10.1. განათლებაზე ხელმისაწვდომობა ........ 35
10.2. არაფორმალური განათლების კულტურისა და სპორტის სერვისები ........ 37
11. გარემოს დაცვა ........ 38
12. მუნიციპალური სერვისები და მართველობა ........ 40
13. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი ........ 42
14. ხედვა, მიზნები და ამოცანები ........ 44
15. მონიტორინგი და შეფასება ........ 69
16. განხორციელების მექანიზმი ........ 70

## რუკა

რუკა 1: მუნიციპალიტეტის მდებარეობა .......... 5
რუკა 2: ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქალაქი და ტერიტორიული ერთეულები .......... 5
რუკა 3: სამცხე-ჯავახეთში არსებული საბადოები .......... 6
რუკა 4: სამცხე-ჯავახეთში არსებული მინერალურ-თერმული წყლების საბადოები .......... 7

## დიაგრამა

№1 მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წილი .......... 11
№2 ბუნებრივი მატება საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით ბორჯომის მუნიციპალიტეტში .......... 11
№3 მოსახლეობის მედიანური ასაკი სქესის მიხედვით ბორჯომის მუნიციპალიტეტში .......... 12
№4 ბიზნეს სექტორის დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო ანაზღაურება .......... 13
№5 ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში .......... 15
№6 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობები (ჰა.) .......... 17
№7 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობები (ჰა.) .......... 18
№8 საწარმოთა საქმიანობის გადანაწილება სფეროების მიხედვით .......... 18
№9 ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში .......... 20
№10 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორები .......... 21
№11 ვიზიტორების რაოდენობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში .......... 22
№12 შეგროვების მომსახურების დაფარვა .......... 25
№13 ნარჩენების შემადგენლობა .......... 25
№14 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცემული ლიცენზიების რაოდენობა .......... 38
№15 ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები .......... 41
№16 ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები .......... 42

## ცხრილი

№1 საბადოები ბორჯომის მუნიციპალიტეტში .......... 6
№2 წყლის საბადოები ბორჯომის მუნიციპალიტეტში .......... 8
№3 მოსახლეობა .......... 9
№4 ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები .......... 19
№5 სასტუმროები და საოჯახო სასტუმროები ბორჯომის მუნიციპალიტეტში .......... 21

## 1. დოკუმენტის არსი

მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კონკრეტულ საჯარო სფერო(ებ)ში პრობლემათა გადაწყვეტის ან/და საჯარო სერვისების განვითარების გზებს.

მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ასევე, ხელმძღვანელობენ პოლიტიკის სექტორული და თემატური დოკუმენტებით.

მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტი არის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. გაანალიზებული პრობლემების საპასუხოდ, დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნების და ამოცანების შემდგომში ხდება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების საფუძველი.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი იქმნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების ხედვის, მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეთა ინტერესების ცხოვრებაში გატარებისთვის. იგი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

## 2. სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მიხედვით, ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მუნიციპალიტეტის კომპეტენციაა. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებს და პროექტებს.

ამავე კოდექსის თანახმად, მერი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიების და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას და განხორციელებას. თავის მხრივ, საკრებულო ამტკიცებს მუნიციპალიტეტის სტრატეგიებს, პროგრამებს და გეგმებს. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი შედგენილია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს" შესაბამისად.

დოკუმენტის შედგენის პროცესში ასევე გამოყენებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების" წესის მთავარი პრინციპები.

დოკუმენტის მიზნების, ამოცანების და სამოქმედო გეგმის შედგენის ნაწილში გათვალისწინებულია თვითმმართველობის კოდექსით მუნიციპალიტეტისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები,

მუნიციპალური ბიუჯეტის შესაძლებლობები; ცენტრალური ხელისუფლებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობები.

### 3. ჰარმონიზაცია ეროვნულ დოკუმენტებთან

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მისი კომპეტენციები გამიჯნულია ცენტრალური ხელისუფლებისგან, თუმცა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვისას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენისას, გასათვალისწინებელია ჰარმონიზაცია ეროვნული, სექტორული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიული ან სამოქმედო სახის დოკუმენტებთან.

დოკუმენტის შედგენის პროცესში განხილულ და გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფოში მოქმედი შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტები:

- სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 - „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“;
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია;
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021– 2027;
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
- 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია;
- საქართველოს შრომისა და დასახლების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია;
- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია;
- ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია;

### 4. დოკუმენტის შემუშავების პროცესი

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტის შემუშავების მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 ივნისის №ბ16.1623167001 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ჯგუფის ლიდერი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული იყო 17 სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების, სამოქალაქო საზოგადოების, მერის მრჩეველთა საბჭოს, „საზოგადოებრივი აზრის დარბაზის“, მეწარმეების, არასამთავრობო სექტორის, გენდერული თანასწორობის საბჭოს და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების მიერ.

დოკუმენტის შემუშავების პირველ ეტაპზე განხორციელდა მუნიციპალიტეტის სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვან საკითხს. აღნიშნული ნაწილი არ შემოიფარგლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში არსებული სერვისებით, არამედ მოიცავს მუნიციპალიტეტის მთლიან მდგომარეობას. სიტუაციის ანალიზი შეჯამებულია SWOT ანალიზით.

დოკუმენტზე მუშაობის მეორე ეტაპზე განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები.

ხედვის მასშტაბურობიდან გამომდინარე დროითი კომპონენტი არ შემოიფარგლება 4 წლით. მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებულ იქნა თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები. მიზნების და ამოცანების განსაზღვრის დროს დადგენილ იქნა შედეგის საზომი ინდიკატორები და მათი საბაზისო და სამიზნე პარამეტრები.

დოკუმენტის შემუშავების შემდგომ ეტაპზე განსაზღვრულ იქნა 2 წლის განმავლობაში განსახორციელებელი საქმიანობები, რომლებიც დაკავშირებულ იქნა სტრატეგიულ ნაწილში განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან. აღნიშნული ნაწილი წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის სახით.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში განისაზღვრა დოკუმენტით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელების და მონიტორინგის/შეფასების მექანიზმები.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. სწორედ, თანამონაწილეობით პრინციპს ეფუძნება დოკუმენტის შემუშავების პროცესი და წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის ხედვა, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად.

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფდა სხვადასხვა მხარეების ჩართულობას. სამუშაო შეხვედრები აქტიურად იმართებოდა დაინტერესებულ მხარეებთან, რომლის საფუძველზეც გაკეთდა სხვადასხვა სექტორის ანალიზი და შემუშავდა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. გეგმის შემუშავების პროცესში, საზოგადოების ფართო მასების ჩასართავად ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებისა და საჯარო განხილვების გარდა გამოყენებულ იქნა სატელეფონო და პირისპირ ინტერვიუები. დოკუმენტის შემუშავების პროცესის ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაო ჯგუფი წინასწარ ამზადებდა საკითხებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისა  და დისკუსიისთვის, შემდგომ კი განიხილავდა მათ მოსაზრებებს, რომელთა გაანალიზების შედეგად აკეთებდა დასკვნებსა და კონსესუსის საფუძველზე იღებდა გადაწყვეტილებას, რომელიც აისახებოდა სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულ პროცესში უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი მოსახლეობის თანაბარი ჩართულობა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის 30 სოფელში, 2023 წლის ზაფხულის თვეებში გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებაც სოფლებში სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს შეეხებოდა. სწორედ მსგავს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოიცავს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით აქტიურად მიმდინარეობდა მერიასთან არსებულ ახალგაზრდულ საბჭოს წევრებთან შეხვედრები. შეხვედრების დროს ახალგაზრდული საბჭოს წევრების მიერ გამოიკვეთა  ახალგაზრდობის პრობლემები, მოსაზრებები და მათი გადაჭრის გზები. სწორედ მათთან მჭიდრო კომუნიკაციით, მრავალი გამოკითხვით, მათი ხედვებისა და ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა  წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა.

დოკუმენტის შემუშავების პროცესის ორგანიზაციულ-ტექნიკური ჯგუფის მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ.გვერდზე: https://www.borjomi.gov.ge/ka 2023 წლის 13 ოქტომბერს, 10 კალენდარული დღის ვადაში შენიშვნების, მოსაზრებებისა და წინადადებების წარმოდგენის

მიზნით გამოქვეყნდა პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი/სამუშაო ვერსია. დოკუმენტის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებული იქნა დაინტერესებულ მხარეთა წარმოდგენილი თითოეული შენიშვნა და წინადადება.
ამ ყოველივემ შექმნა საფუძველი იმისა, რომ დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და ხედვების გათვალისწინებით შემუშავებულიყო მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი.

## 5. წინასიტყვაობა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (შემდგომში-პოლიტიკის დოკუმენტი) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების ხელშეწყობისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხედვას. პოლიტიკური დოკუმენტი შემუშავებული იქნა ბორჯომის მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შესაბამის სამსახურებთან, სხვადასხვა იურდიული ორგანიზაციების წევრებთან კონსულტაციების მეშვეობით. პოლიტიკური დოკუმენტის სამუშაო ჯგუფი შედგება 17 წევრისგან, რომლებიც არიან საჯარო და კერძო სექტორიდან და წარმოადგენენ ისეთ დარგებს, როგორიცაა ეკონომიკა, განათლება, სოფლის მეურნეობა, სპორტი, კულტურა, გარემოს დაცვა. ისინი მუშაობენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო უწყებებში, კერძო ბიზნესში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებში.
მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი აანალიზებს გამოწვევებსა და შესაძლებლობებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სახავს ამოცანებს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ბორჯომის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზანია, გაუმჯობესდეს ბორჯომის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და ბორჯომი გახდეს უფრო მიმზიდველი ვიზიტორებისთვის.

## 6. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალურ - ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

### 6.1 გეოგრაფიული მდებარეობა

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ადმინისტრაციულად იგი სამცხე-ჯავახეთის რეგიონს მიეკუთვნება და ესაზღვრება ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ხაშურის, წალკის, ხარაგაულის და გორის მუნიციპალიტეტები.
ბორჯომის მუნიციპალიტეტი განლაგებულია მცირე კავკასიონის მთების - მესხეთისა და თრიალეთის მთათა ზონაში და მისი ფართობია 118 900 ჰა. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა პუნქტებს შორის სიმაღლის ცვალებადობა აღემატება 1500 მეტრს ზღვის დონიდან. ქალაქი ბორჯომი ზღვის დონიდან მდებარეობს 800-950 მეტრზე და მთათა ზონა ზღვის დონიდან 2500 მეტრს აღწევს.
ქალაქი ბორჯომი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. მანძილი მუნიციპალიტეტიდან რეგიონულ ცენტრ ახალციხემდე არის 50 კმ და ქვეყნის დედაქალაქ თბილისამდე კი 157 კმ.

რუკა 1. მუნიციპალიტეტის მდებარეობა



მუნიციპალიტეტი დაყოფილია 11 ტერიტორიულ ერთეულად. ეს ტერიტორიული ერთეულებია: ქალაქი ბორჯომი, 3 დაბა (ახალდაბა, ბაკურიანი, წაღვერი) და სოფლებისგან შემდგარი 11 ტერიტორიული ერთეული (ქალაქი ბორჯომი, დაბა ახალდაბა, დაბა წაღვერი, ტაძრისი, ყვიბისი, ტბა, დვირი, ტაბაწყური, ბალანთა, დაბა ბაკურიანი და ციხისჯვარი), ზოგიერთი ტერიტორიული ერთეული მოიცავს ერთ, ან მეტ სოფელს. სულ მუნიციპალიტეტის საზღვრებში 41 სოფელია, აქედან 13 დაუსახლებელი და 26 სოფელს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

რუკა 2. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქალაქი და ტერიტორიული ერთეულები



## 6.2. წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ძირითადი წიაღისეული სიმდიდრეა მინერალური წყლები, მათ შორის ბორჯომის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი სამკურნალო წყალი, აგრეთვე წაღვერის ნახშირმჟავა-რკინის, ციხისჯვრის გოგირდოვანი, ვაშლოვანის ბორჯომის ტიპის და სხვა მრავალი ძვირფასი მინერალური წყარო. მუნიციპალიტეტი მდიდარია სამშენებლო ქვებით - ანდეზიტი, ბაზალტი და ვულკანური წიდა (პემზა).

რუკა 3. სამცხე-ჯავახეთში არსებული საბადოები



ცხრილი: №1 საბადოები ბორჯომის მუნიციპალიტეტში

| № | საბადო | რესურსის დასახელება | მარაგი | ერთეული | გამოყენების სფერო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტაბაწყური | ტორფი | 121300 | ტ | აგრონომიული ნედლეული |
| 2 | ბაკურიანი | ანდეზიტი | 2412000 | მ$^3$ | მჟავაგამძლე ნედლეული |
| 3 | ტაბაწყური | ვულკანური წიდა | 7400000 | მ$^3$ | შემავსებელი ნედლეული |
| 4 | გუჯარეთი | ვულკანური წიდა | 11898000 | მ$^3$ | შემავსებელი ნედლეული |
| 5 | გუჯარეთი | ოქრო, პოლიმეტალები | 0 | 0 | საიუველირო მრეწველობა |

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1189 კვ.მ, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 460 კვ.კმ. ტერიტორიის დაახლოებით 57% ტყის მასივით არის დაფარული, რომლის ფართობია 68000 ჰა. მუნიციპალიტეტში არსებული ტყე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის რეგულირებაში: იცავს ნიადაგს და აკონტროლებს წყლის დონეებს. ამას გარდა, მათ მიერ მოტანილი სარგებელი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მოსახლეობის საარსებო საშუალებების და სურსათის უსაფრთხოების მხრივ, რაშიც მოიაზრება სამშენებლო მასალები, შეშა, ტყის არამერქნული პროდუქტები, სამკურნალო მცენარეები და საძოვრები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მცენარეების ნაირსახეობებით (1600-ზე მეტი სახეობა) არის მდიდარი. უმეტესად წიწვოვანი (ნაძვი, ფიჭვი, სოჭი და სხვა) და ფოთლოვანი (მუხა, წიფელი, რცხილა, ნეკერჩხალი, იფანი, არყის ხე და სხვა) ჯიშები დომინირებენ. ტყეების დიდი ნაწილი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიას მიეკუთვნება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია. გავრცელებულია ფრინველის 70 სახეობა; ცხოველების 30–მდე სახეობა; თევზების 10–ზე მეტი სახეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ხელუხლებელ ფლორას და ფაუნას. მუნიციპალიტეტში მდინარეებსა და ტბებს საერთო ჯამში 1141 ჰექტარი უჭირავთ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემდეგი დაცულ ტერიტორიები და აღკვეთილები მდებარეობს: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი და ნებვის აღკვეთილი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ჰავა გარდამავალია კონტინენტურ-სუბტროპიკულსა და ზღვის სუბტროპიკულს შორის. ზამთარი აქ ცივი იცის, ზაფხული - თბილი. საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით 8,30-დან 10-მდეა, იანვრის საშუალო ტემპერატურა - 3-6 გრადუსია, აგვისტოს +14, +18 გრადუსი. შესაძლებელი მაქსიმუმი 30-38 გრადუსია, ხოლო შესაძლებელი მინიმუმი -20, -28 გრადუსია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარეა არაუმეტეს 8 მ/წმ. დროდადრო 20 მ/წმ აღწევს. ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 500-800 მმ-ია, მაქსიმუმი 188-162 მმ მოდის მაის-ივნისში, მინიმუმი 37-63 დეკემბერ-იანვარში. მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მოიცავს სამ სხვადასხვა კლიმატურ ზონას ტემპერატურისა და ნალექების თვალსაზრისით - ნოტიო კოლხური ზონა, კავკასიის ზომიერი ცენტრალური ზონა და კავკასიის მშრალი კონტინენტური ზონა

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა, წიაღისეული, ბუნებრივი რესურსები, კლიმატი, პირდაპირ კავშირშია იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კიდევ უფრო განვითარდეს ტურისტული მრავალფეროვნება (ეკოტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო-ექსტრემალური ტურიზმი, სამთო სათხილამურო ტურიზმი).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მთავარი ბუნებრივი სიმდიდრე - მინერალური წყლები, მუნიციპალიტეტის ძირთადი შემოსავლის წყაროა. სამცხე-ჯავახეთში სხვა რეგიონებთან

შედარებით მცირეა თერმული წყლის რესურსი. რეგიონში არსებული წყლის რესურსები წყალსარგებლობის მიხედვით გამოყენებულია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით (8%), ჰიდროენერგეტიკაში(80%), აგრეთვე სამრეწველო დანიშნულებით, სარწყავად და თევზის სატბორეებისათვის.

რუკა 4. სამცხე-ჯავახეთში არსებული მინერალურ-თერმული წყლების საბადოები



ცხრილი: №2 წყლის საბადოები ბორჯომის მუნიციპალიტეტში

| № | რუკაზე № | რესურსის დასახელება | მარაგი |
|---|---|---|---|
| 1 | 234 | მინერალური წყალი | ბორჯომი |
| 2 | 233 | მინერალური წყალი | ლიკანი |
| 3 | 232 | მინერალური წყალი | დვირი |
| 4 | 235 | მინერალური წყალი | ყვიბისი |
| 5 | 236 | მინერალური წყალი | რველი |
| 6 | 237 | მინერალური - თერმული წყალი | სადგერი |
| 7 | 238 | მინერალური წყალი | წაღვერი |
| 8 | 239 | მინერალური - თერმული წყალი | ციხისჯვარი |
| 9 | 241 | მინერალური წყალი | მიტარბი |
| 10 | 242 | მინერალური წყალი | წინუბანი |
| 11 | 243 | მინერალური წყალი | მაჭარწყალი |
| 12 | 260 | მინერალური - თერმული წყალი | ახალდაბა |
| 13 | 268 | მინერალური წყალი | ზანავი |
| 14 | 279 | მინერალური წყალი | ახალი უბანი (ფაფა) |
| 15 | 286 | მინერალური - თერმული წყალი | ბაკურიანი |
| 16 | 289 | მინერალური წყალი | ცემი |
| 17 | 300 | მინერალური წყალი | გუჯარეთი |
| 18 | 307 | მინერალური წყალი | ნეძვი (ახალდაბა) |

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, გადასახადთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის ყველაზე დიდ შემოსავალს წარმოადგენს, რაც მუნიციპალიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობის მთავარი ფაქტორია. აღნიშნული შემოსავლები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 78% შეადგენს.

### 6.3. დემოგრაფია

2002 წელს მოსახლეობის აღწერის მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ შეადგინა 32200 მაცხოვრებელი, თუმცა 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით მოსახლეობა შემცირდა 25214 მაცხოვრებლამდე, 2023 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსახლეობა შეადგენს 24900 მაცხოვრებელს.

ცხრილი: №1 მოსახლეობა

(2014 წელი; წყარო: სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

| № | ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი | მცხოვრებთა რიცხვი | ოჯახების რაოდენობა | ქალაქი/დაბა/სოფელი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ბორჯომი | | 10530 | 4876 | ქალაქი |
| 2 | დაბა ბაკურიანი | ბაკურიანი | 1898 | 714 | დაბა |
| 3 | | ანდეზიტი | 352 | 110 | სოფელი |
| 4 | | დიდი მიტარბი | 54 | 24 | სოფელი |
| 5 | | პატარა მიტარბი | 46 | 14 | სოფელი |
| 6 | | თორი | 17 | 8 | სოფელი |
| 7 | | საკოჭავი | 0 | 0 | სოფელი |
| 8 | დაბა წაღვერი | | 799 | 323 | დაბა |
| 9 | | მზეთამზე | 346 | 130 | სოფელი |
| 10 | | ტიმოთესუბანი | 235 | 81 | სოფელი |
| 11 | | დაბა | 194 | 67 | სოფელი |
| 12 | | ოდეთი | 0 | 0 | სოფელი |
| 13 | | ღვთისმშობელი | 0 | 0 | სოფელი |
| 14 | | მაჭარწყალი | 0 | 0 | სოფელი |
| 15 | | გვერდისუბანი | 0 | 0 | სოფელი |
| 16 | | წინუბანი | 0 | 0 | სოფელი |
| 17 | | ვარდევანი | 0 | 0 | სოფელი |
| 18 | | გუჯარეთი | 0 | 0 | სოფელი |
| 19 | | ღინტური | 0 | 0 | სოფელი |
| 20 | | წითელსოფელი | 0 | 0 | სოფელი |
| 21 | დაბა ახალდაბა | | 1586 | 643 | დაბა |
| 22 | ყვიბისი | ყვიბისი | 1527 | 454 | სოფელი |
| 23 | | რველი | 622 | 136 | სოფელი |
| 24 | | ბეშეთი | 93 | 24 | სოფელი |
| 25 | | ვარდგინეთი | 118 | 46 | სოფელი |
| 26 | | ზანავი | 251 | 74 | სოფელი |
| 27 | | კორტანეთი | 333 | 114 | სოფელი |
| 28 | ტაძრისი | ტაძრისი | 541 | 205 | სოფელი |
| 29 | | საკირე | 954 | 328 | სოფელი |
| 30 | | დგვარი | 224 | 91 | სოფელი |
| 31 | დვირი | დვირი | 712 | 270 | სოფელი |
| 32 | | ჭობისხევი | 745 | 252 | სოფელი |
| 33 | | ქვაბისხევი | 429 | 141 | სოფელი |
| 34 | | ჩითახევი | 176 | 63 | სოფელი |
| 35 | | ლარები | 0 | 0 | სოფელი |
| 36 | ტბა | ტბა | 237 | 99 | სოფელი |
| 37 | | სადგერი | 325 | 94 | სოფელი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 38 | | ცემი | 246 | 95 | სოფელი |
| 39 | | ლიბანი | 31 | 20 | სოფელი |
| 40 | | პატარა ცემი | 0 | 0 | სოფელი |
| 41 | ტაბაწყური | ტაბაწყური | 560 | 190 | სოფელი |
| 42 | | მოლითი | 215 | 80 | სოფელი |
| 43 | ბალანთა | ბალანთა | 155 | 40 | სოფელი |
| 44 | | ჭიხარულა | 255 | 52 | სოფელი |
| 45 | ციხისჯვარი | ციხისჯვარი | 408 | 145 | სოფელი |
| | **სულ:** | | **25214** | **10003** | |

2023 წლის სტატისტიკური მონაცემებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, ისევე როგორც ქვეყნაში და რეგიონში ხასიათდება კლებადი დინამიკით.

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა წლების მიხედვით ასე იცვლებოდა:**

| წელი | მოსახლეობის რაოდენობა |
|---|---|
| 2002 | 30200 |
| 2014 | 25500 |
| 2016 | 25300 |
| 2018 | 25200 |
| 2021 | 25000 |
| 2023 | 24900 |

2023 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 24900 კაცს. აქედან დაახლოებით 48% მამაკაცი და 52% ქალი. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სიმჭიდროვე არის 20.9 კაცი/კმ$^2$-ზე. მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში განაწილებულია 2109 ოჯახი (ძირითადად ქალაქი ბორჯომი), დანარჩენი 7903 ოჯახი განაწილებულია ინდივიდუალურ სახლებში.

მოსახლეობის შემცირების მიზეზები დაკავშირებულია დედაქალაქ თბილისსა და უცხო ქვეყნებში მიგრაციასთან, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტში განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობებით და უმუშევრობის მაღალი დონით. ამ ქვეყნებში მიგრანტები ხშირად მუშაობენ მცირე საწარმოებში, შინა მეურნეობებში ან სეზონურ მუშებად. ცნობილია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვან კლებას ფუნდამენტურად არ შეუცვლია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის ურთიერთობები.

რაც შეეხება, ქალთა და მამაკაცთა პროპორციას მუნიციპალიტეტში, ის დაბალანსებულია 24 წლის ასაკამდე, თუმცა ქვემოთ ჩამოთვლილ ასაკობრივ ჯგუფებში მამაკაცების პროცენტული მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში მცირდება ასაკის ზრდასთან ერთად.

მაგალითად, 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცები შეადგენენ საერთო მოსახლეობის მხოლოდ 43%-ს. ამის ერთ- ერთი მიზეზი არის მამაკაცების დიდი რაოდენობა, რომელიც მიდის ემიგრაციაში სამუშაოს საძებნელად საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, რათა გამოუგზავნონ საარსებო თანხა თავის ოჯახს. ბორჯომი ასევე ხასიათდება ეთნიკური მრავალფეროვნებით. მუნიციპალიტეტში ცხოვრობს ორჯერ მეტი ეთნიკური სომეხი (12%), ვიდრე საშუალოდ საქართველოში და მოსახლეობის დაახლოებით 4%-ს შეადგენენ ეთნიკური ბერძნები. ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებული გარკვეულ სოფლებსა და ადგილებში. ბერძნული უმცირესობა ცხოვრობს ქალაქ ბორჯომში და სოფელ ციხისჯვარში, ხოლო სომხები ცხოვრობენ ბორჯომში და ახალქალაქის მოსაზღვრედ ბორჯომის მაღალმთიან სამხრეთ ნაწილში. ამასთან ერთად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განსახლებულია 2448 იძულებით გადაადგილებული პირი სამხრეთ ოსეთიდან, რომელთა უმეტესობა ცხოვრობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ძირითადად ქალაქ ბორჯომში, დაბა ბაკურიანსა და ბაკურიანის ანდეზიტში.

**დიაგრამა №1 მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წილი;**




ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2022 წლის საქსტატის მონაცემებით ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 242 ბავშვი შეადგინა. ამავე პერიოდში მუნიციპალიტეტში გარდაიცვალა 401 ადამიანი. 2022 წელს ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) 159 კაცით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტში 2014 წლიდან 2022 წლამდე ფიქსირდება უარყოფითი მაჩვენებელი.

**დიაგრამა №2 ბუნებრივი მატება საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით ბორჯომის მუნიციპალიტეტში**



საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების თანახმად 38 წელია. ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საშუალო მედიანურმა ასაკმა ორივე სქესისთვის შეადგინა 41 წელი, მათ შორის მამაკაცებისთვის - 38 და ქალებისთვის - 44 წელი.

**დიაგრამა №3 მოსახლეობის მედიანური ასაკი საქალაქო-სასოფლო დასახლებების და სქესის მიხედვით ბორჯომის მუნიციპალიტეტში**




| | ორივე სქესი | კაცი | ქალი |
|---|---|---|---|
| სასოფლო დასახლება | 39 | 37 | 42 |
| საქალაქო დასახლება | 42 | 39 | 45 |
| სულ | 41 | 38 | 44 |

## 7. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ბორჯომის მუნიციპალიტეტს ჰყავს აქტიური სამუშაო ძალა, რომელიც შეადგენს მთელი ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 65%-ს. ხალხის უმრავლესობა დასაქმებული IDS ბორჯომში (მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნები), სასტუმროებსა და საოჯახო სასტუმროებში, სოფლის მეურნეობაში (მცირე ფერმები), მშენებლობაში, გადამამუშავებელ მრეწველობასა და საცალო ვაჭრობაში. მუნიციპალიტეტში არსებობს მხოლოდ ერთი დიდი დამსაქმებელი და ეს არის IDS ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნები, სადაც დაახლოებით 800 თანამშრომელია. მუნიციპალიტეტში დღეისათვის დარეგისტრირებულია დაახლოებით 1328 მცირე და საშუალო საწარმო, რომელებიც ძირითადად მუშაობენ ტურიზმის სექტორში. ამჟამად აქ ფუნქციონირებს ორი 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო, ოთხი 4 ვარსკვლავიანი და ხუთი 3 ვარსკვლავიანი სასტუმრო, უამრავი პატარა სასტუმრო და საოჯახო სასტუმრო, ძირითადად ბორჯომში, ბაკურიანში, წაღვერში, ცემში, ტბასა და სადგერში. ამას გარდა, მუშაობს სხვა სახის მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ასევე იღებს სარგებელს ტურისტული ვაჭრობიდან, მათ შორის გასართობი და სამკურნალო დაწესებულებები, სპა-ცენტრები, ოთხი სანატორიუმი და რესტორნები. მცირე საწარმოებში შედიან სამშენებლო ბიზნესები, საცალო ვაჭრობის ობიექტები, პურის საცხობები და სარემონტო/ტექნიკური კომპანიები. ამ საწარმოების გარდა, სატყეო და სოფლის მეურნეობის სექტორები ასევე წარმოადგენენ ძირითად დამსაქმებლებსა და შემოსავლის წყაროს ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ეს მცირე და საშუალო საწარმოები ქმნიან დაახლოებით 2200 სამუშაო ადგილს. მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კლიმატური პირობების გათვალისწინებით ეს სექტორები მომავალი ეკონომიკური განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად ითვლება, რაც მოიცავს ტურიზმის ინფრასტრუქტურის

გაუმჯობესებას, დაცული ტერიტორიების განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდასა და დივერსიფიკაციას, აგრეთვე ტყის არამერქნული პროდუქტების გამოყენებას.

გარდა ამისა, დაახლოებით 875 ადამიანია დასაქმებული საჯარო სამსახურებში. ასევე ბევრი ადამიანია თვითდასაქმებული სასოფლო-სამეურნეო სექტორში. თუმცა, გასულ წლებში სახელმწიფოს მიერ მართული საწარმოების დახურვის გამო, როგორიც იყო ავეჯის ქარხანა და მინის ტარის ქარხანა უმუშევრობის დონე გაიზარდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში. არ მოიპოვება მონაცემები ხელფასის დონის შესახებ მუნიციპალიტეტში, თუმცა 2023 წლის სტატისტიკური მონაცემებით ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებული პირების შემოსავალი საშუალოდ 1267.9 ლარს შეადგენს, რაც 2014 წლის მონაცემებთან შედარებით 52.3 პროცენტით მეტია.

**დიაგრამა №4 ბიზნეს სექტორის დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება**




შემოსავლის წყაროები ძირითადად იქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებიდან (30%), სრული განაკვეთით დასაქმებიდან (25%), საჯარო ინსტიტუტების მიერ გადახდილი სატრანსფერო გადასახადებიდან (პენსია, სოციალური დახმარებები და ა.შ.) (19%), ფულადი გზავნილებიდან (8%), ნათესავებისაგან მიღებული ფულიდან (9%), თვითდასაქმების, გაქირავების, ანაზრებისა და სხვა დანაზოგებიდან მიღებული თანხებიდან.

რაც შეეხება, პენსიასა და სოციალურ დახმარებას, მუნიციპალიტეტის მონაცემებით, ამჟამად 6338 მაცხოვრებელი იღებს პენსიას, რაც შეადგენს მთლიანი მოსახლეობის 25.5 პროცენტს და 1278 პირი იღებს სოციალური დახმარების პაკეტს, რაც შეადგენს მოსახლეობის 5 პროცენტს. რადგან მუნიციპალიტეტის 26 სოფელი კლასიფიცირდება, როგორც მთიან რეგიონებში მდებარე, მათ შეუძლიათ მიიღონ დამატებითი საოჯახო დახმარება, გაზრდილი ანაზღაურების ტარიფები მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალისთვის, ხოლო ბიზნესები და ინვესტორები ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტში მისი ინფრასტრუქტურის, ასევე სამკურნალო და მიმზიდველი ბუნებრივი, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფიქსირდება ტურისტული ნაკადის ზრდა. 2018 წელთან შედარებით 2022 წლის ტურისტების რაოდენობა

გაზრდილია 29 %-ით და შეადგენს 296.3 ათასს. ტურიზმის სფეროში მიმდინარე ტენდენციებზე დაყრდნობით მომდევნო წლებში მოსალოდნელია ტურისტების ნაკადის ზრდა, რამაც შესაძლებელია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი გამოიწვიოს.

ტურიზმის სექტორის ზრდა განპირობებულია მუნიციპალიტეტის ბალნეოლოგიურ-კლიმატური პირობებით, ტურისტული რესურსის მრავალფეროვნებით (ეკოტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო-ექსტრემალური ტურიზმი, სამთო სათხილამურო ტურიზმი), სასტუმროების და რეკრეაციულ-სამკურნალო ობიექტების საკმაოდ განვითარებული ქსელით. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს, მაღალი კლასის სასტუმროები, მცირე ზომის სასტუმროები და სასტუმრო სახლები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსები, რომლებიც კარგად იყენებენ კურორტის ბუნებრივ სიმდიდრეს და აქვთ განვითარებული სპა ცენტრები.

მსოფლიოში ცნობილი სამთო-სათხილამურო კურორტი ბაკურიანი, მის გარშემო განვითარებული ინფრასტრუქტურა, ყველა სეგმენტის მომხმარებლისთვის განვითარებული სასტუმროები და მომსახურეობის ობიექტები მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარი შემადგენელი ნაწილია. სამთო-სათხილამურო კურორტზე არსებული ბიზნეს სექტორი ყოველწლიურად ზრდის მომსახურების ხარისხს და აფართოებს მომსახურების არეალს ყველა სეგმენტის დამსვენებელთათვის.

2015 წელს სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს საქვეყნოდ ცნობილი სამთო-სათხილამურო კურორტის ბაკურიანის და მიტარბის საერთაშორისო სტანდარტების ოთხ სეზონიანი კურორტის მშენებლობას და განვითარებას. 2023 წელს დაბა ბაკურიანმა უმასპინძლა „სათხილამურო და სნოუბორდ ფრისტაილის" მსოფლიო ჩემპიონატს, შესაბამისად მუნიციპალიტეტში მომდევნო წლებში მოსალოდნელია ტურისტული ნაკადის კიდევ უფრო მატება.

ბორჯომში ტურიზმის სექტორის განვითარებასთან ერთად, რეგიონში არის სხვა სექტორების განვითარების პოტენციალიც. მაგალითად, ადგილობრივად წარმოებული, ჯანსაღი საკვები პროდუქტებისა და მზა კერძების მიწოდება შეიძლება გაიზარდოს სასტუმროების სექტორთან და სოფლის მეურნეობის სექტორთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით (სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, რესტორნები და ა.შ.). ასევე, ტურიზმის განვითარებით მეტად ისარგებლებენ ადგილობრივი ხელოსნები, აგრეთვე ქალებიც, რადგან დამატებითი დასაქმების შესაძლებლობები იქნება სამშენებლო სექტორში (მუშახელი, კალატოზები, ელექტრიკოსები, ინტერიერის დიზაინერები და ა.შ). ტურიზმსა და სხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის გზით გაიზრდება მთლიანად სექტორის როლი სამუშაო ადგილების შექმნაში, რაც დამატებით სარგებელს მოუტანს მუნიციპალიტეტს.

### 7.1. სოფლის მეურნეობა

1990 წლიდან ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში სურათი იყო შემდეგი: გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის წარმოების შემცირება. წარმოების შემცირების ძირითადი მიზეზები გახლდათ: მიწის ფრაგმენტაცია, რაც მოხდა პრივატიზაციის შედეგად; ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების ნაკლებობა; სოფლის მეურნეობის საწარმოო მასალების მაღალი ხარჯები, ფინანსებსა და დაზღვევაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურების

არარსებობა, სუსტი კავშირი ბაზრებთან, სავაჭრო ემბარგოები და ზოგადად, სოფლის გაუარესებული ინფრასტრუქტურა.

გარდა ამისა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში დამატებითი დაბრკოლებაა სახნავი მიწების შეზღუდული რაოდენობა, რის გამოც საველე კულტურების დიდ ფართობზე წარმოების შესაძლებლობებიც შეზღუდულია. 42.376 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის მთლიანი რაოდენობიდან მხოლოდ 4.090 ჰა გამოიყენება სახნავად და მათგან მარტო 180 ჰა - მრავალწლიანი კულტურებისთვის. მუნიციპალიტეტის დარჩენილი მიწის ფართობი წარმოადგენს უპირატესად მდელოებსა და საძოვრებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის დეფიციტს ნათლად გვიჩვენებს ფერმერების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მცირე ზომები, მათი უმრავლესობა (73%) ამუშავებს 1 ჰა-ზე ნაკლებს. 1-3 ჰა მიწის მფლობელი ფერმერების პროპორციული რაოდენობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ყველაზე დაბალია.

შემოსავლის მთავარი წყარო სოფლის მეურნეობაში არის მეცხოველეობა, რძის წარმოება, ისევე როგორც ზოგიერთი ბოსტნეული და მარცვლეული კულტურის წარმოება. ამ ფერმერებიდან მოსახლეობის დაახლოებით 80% ჩართულია მცირე, არაკომერციულ სოფლის მეურნეობაში.

სამცხე ჯავახეთის რეგიონში ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობში ყველაზე დიდი წილი უკავია კარტოფილს, რომლის ნათესმა ფართობმა 10.3 ათასი ჰექტარი შეადგინა. ხორბლის ნათესი ფართობი 2.1 ათასი ჰექტარი იყო, ქერის – 6.2 ათასი ჰექტარი, სიმინდის – 0.9 ათასი ჰექტარი, ლობიოსი - 0.3 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულის – 0.7 ათასი ჰექტარი, ხოლო ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ჯამური ნათესი ფართობი – 3.8 ათას ჰექტარს შეადგენდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა 2021-2022 წლებში.

**დიაგრამა №5 ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში**



ცოტა ხნის წინ გადაიდგა ნაბიჯი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დივერსიფიკაციის მიზნით კენკრის წარმოებისა და სათბურის პირობებში წარმოებული პროდუქციის მიმართულებით. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 60000 მარწყვისა და 4000 ჟოლოს ნერგი დაირგო სოფლებში: დაბა, წაღვერი, ტიმოთესუბანი და მზეთამზე და ცოტა ხნის წინ სოფელ დაბასა და ტბაში სამი კომერციული სათბური აშენდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში არსებობს ექვსი თევზსაშენი, რომლებიც წელიწადში აწარმოებს 28.5 ტონა თევზს. კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა კომერციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის, იყო 15 კოოპერატივის შექმნა, რომლებიც იმუშავებს კენკრის წარმოებისა და მეფუტკრეობის მიმართულებით. ეს კოოპერატივები საკუთარი პროდუქციით პირველ რიგში ემსახურებიან ტურისტულ ინდუსტრიას ბორჯომში, თუმცა ასევე გადიან დედაქალაქის ბაზრებზეც.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა ბორჯომში პრაქტიკულად არ არსებობს და რადგან ბიზნესი ნაკლებადაა ჩართული ამ სფეროში, მომსახურების მომწოდებლებს ეძლევათ მეტი შესაძლებლობები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურის თანამედროვე სტანდარტის ოფისი, რომელი ყველა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებით არის აღჭურვილი. ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს სრულყოფილად ისარგებლოს ყველა იმ სერვისით, რასაც მას სურსათის ეროვნული სააგენტო სთავაზობს. მიიღონ კონსულტაციები და დახმარება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის საკითხებზე, რაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მეწარმეებისთვის, ფერმერებისა და გლეხებისთვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა. სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სამსახური მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს მავნე სურსათის გამოვლენასა და განადგურებას, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას და ეპიდაფეთქებების ლიკვიდაციას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვას მავნე ორგანიზმებისაგან. სააგენტო ასევე ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს იმ სფეროებზე, როგორიცაა სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია, მცენარეთა დაცვა.

ბოლო წლებში ბიზნესის განვითარების ტენდენციის პარალელურად იზრდება მოთხოვნა მიწაზე და უძრავ ქონებაზე. მოთხოვნა ძირითადად კერძო კომპანიების და ფიზიკური პირების მიერ ფიქსირდება, სასტუმრო ბიზნესის განსავითარებლად (მაღლი კლასის სასტუმროების, საოჯახო სასტუმროების და კოტეჯების მშენებლობისთვის), ასვე კვების და სავაჭრო ობიექტების განთავსებისათვის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო დაზუსტებული ფართობი 71099.74739 ჰექტარია. ფიზიკური პირების საკუთრებაში ირიცხება ჯამურად 166.95558 ჰექტარი, ხოლო იურიდიული პირების საკუთრებაში 726.566502 ჰექტარი დაზუსტებული ფართობი. მუნიციპალურ საკუთრებაში ირიცხება 62.7097 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი და ასევე, ამ ნაკვეთებზე განთავსებული 147 ერთეული შენობა-ნაგებობა.

**დიაგრამა №6 ბორჯომის მუნიციპალიტეტში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობები (ჰა.)**




მუნიციპალიტეტი ახორციელებს მის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციას. მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ უძრავი ქონებების დიდი ნაწილი, სადაც შეიძლება ინვესტიციების განხორციელება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას ან კერძო საკუთრებას. სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის უძრავი ქონების გადაცემა მოითხოვს გრძელვადიან პერიოდს და ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო საერთოდ არ გადასცემს მუნიციპალიტეტს უძრავ ქონებას და თვითონვე ახორციელებს აღნიშნული ქონების განკარგვას. რაც ართულებს მუნიციპალიტეტის მიერ ქონების ეფექტურ გამოყენებას.

ბიზნესის მხრიდან ასევე გაზრდილია მოთხოვნა იზოლირებულ თანამედროვე სავაჭრო და საოფისე სივრცეებზე, აღნიშნულ მოთხოვნას მუნიციპალიტეტი ვერ აკმაყოფილებს, ვინაიდან მოთხოვნადი ფართები ძირითადად კერძო საკუთრებაშია.

მუნიციპალიტეტს მთლიანად იდენტიფიცირებული აქვს იმ ქონების ნუსხა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ინვესტიციების განსახორციელებლად. მუნიციპალიტეტი გეგმავს შექმნას საინვესტიციო ბაზა/კატალოგი, სადაც განთავსებული იქნება მუნიციპალიტეტის შეთავაზებები ბიზნესის მიმართ.

საქსტატის მონაცემებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მთლიან ფართობში სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის წილი 3.4 პროცენტია. მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობიდან სახელმწიფო საკუთრებაშია 27224.22717 ჰექტარი დაზუსტებული ფართობი. ჯამურად ფიზიკური პირების საკუთრებაში ირიცხება 3490.503741 ჰექტარი, ხოლო იურიდიული პირების საკუთრებაში 704.084324 ჰექტარი დაზუსტებული მიწის ფართობი. რაც შეეხება, მუნიციპალიტეტს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში არ გააჩნია.

დიაგრამა №7 ბორჯომის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობები (ჰა.)




## 7.2. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

ბორჯომის მუნიციპალიტეტი არის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკურად სწრაფად მზარდი პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტი, რომელიც მდიდარია ბიომრავალფეროვნებით, რეკრეაციული ტერიტორიებით, დაცული ტერიტორიებით, პარკებით, დიდი ტყის მასივებით, ტბებით, ზამთრის კურორტებით (ბაკურიანი, მიტარბი), წიაღისეულით - კერძოდ: მინერალური, თერმული და მტკნარი წყლებით, რომელიც ცნობილია სამკურნალო თვისებებით.

ადგილობრივი ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი გადამხდელია შპს „IDS ბორჯომი საქართველო“, რომელიც აწარმოებს ბუნებრივ, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო მინერალური წყლის - „ბორჯომი“, „ლიკანი“ და ბუნებრივი წყაროს წყლის - „ბაკურიანი“ ჩამოსხმას. საქვეყნოდ ცნობილი ბრენდი „ბორჯომი“ მსოფლიოს 40-მდე ქვეყანაში გადის ექსპორტზე.

კომპანიაში დასაქმებულია 800-მდე თანამშრომელი. კომპანიის ყოველწლიური გადასახადები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების 47% შეადგენს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია დამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით.

დიაგრამა №8 საწარმოთა საქმიანობის გადანაწილება სფეროების მიხედვით



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლიდან 2022 წლამდე ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა გაზრდილია 163 პროცენტით და მათი საერთო რაოდენობა 2117-ს შეადგენს, აქედან: 1328 მცირე საწარმო; 19 საშუალო საწარმო; 2 მსხვილი საწარმო, 768 ზომა უცნობია. 2022 წელს, 2014 წელთან შედარებით საწარმოთა რაოდენობის მაღალი ზრდა დაფიქსირდა ყველა ეკონომიკურ საქმიანობებში: სამრეწველო საქმიანობა - 194%; ტურიზმი, სასტუმროები, ჰოსტელები - 243%; საბითუმო და საცალო ვაჭრობა - 176%; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 346%; საწარმოების რაოდენობის ზრდასთან ერთად აგრეთვე იზრდება მუნიციპალიტეტში მოქმედი საწარმოების პროდუქციის გამოშვება და შემოსავლები.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წელს 2014 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 233.4%-ით, ხოლო საწარმოთა ბრუნვა 220.4%-ით. აღნიშნული ზრდა მეტწილად უკავშირდება სამშენებლო ბიზნესის განვითარებას, რაც მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მატებასთან არის დაკავშირებული

**ცხრილი №4 ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები.**

| მაჩვენებლის დასახელება | წელი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
| ბრუნვა, მლნ. ლარი | 326.5 | 332.5 | 391.9 | 484.4 | 567.5 | 714.3 | 661.1 | 719.7 |
| პროდუქციის გამოშვება, მლნ. ლარი | 314.2 | 309.3 | 360.4 | 469.7 | 543.6 | 657.2 | 558.4 | 733.2 |
| დამატებითი ღირებულება | 172.4 | 133.5 | 162.5 | 224.4 | 242.8 | 315.8 | 289.7 | 367.5 |

მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ტურიზმი, მომავალი ეკონომიკური განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად ითვლება, რაც მოიცავს ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, დაცული ტერიტორიების განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაზრდას და შედეგად მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

დღეისათვის ბორჯომის მუნიციპალიტეტში ძალიან ცოტა გადამამუშავებელი საწარმოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფერმერებს თავისი პროდუქციის გასაყიდად შედარებით მცირე ბაზარი აქვთ. ეს ასევე ნიშნავს, რომ ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციას ღირებულება მცირედ ემატება. იქ, სადაც ბაზარი ამის შესაძლებლობას მოგვცემს, უნდა წახალისდეს გადამუშავების ინიციატივები, ხელი შეეწყოს რძის შემგროვებელი ცენტრების, ყველის გადამამუშავებელი საწარმოების, შესანახი და გამაგრილებელი დაწესებულებებისა და გამანაწილებელი ცენტრების განვითარებას. შესაძლებელია, რომ ეს გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა შეიქმნას სხვადასხვა პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით, როგორებიც არიან ფერმერები, გადამამუშავებლები ან მეწარმეები.

ბორჯომის ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს მუნიციპალიტეტში განახორციელოს ისეთი პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და კარგად იქნება მორგებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ კონტექსტზე, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონალური განვითარების ფონდიდან, ყოველწლიურად გამოიყოფა თანხები სხვადასხვა სახის კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად, რაც წელიწადში 8-9 მილიონ ლარს შეადგენს.

საქსტატის მონაცემებით ბორჯომის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პირდაპირ ფიქსირებულ აქტივებში ბიზნეს სექტორის ინვესტიციების მოცულობამ 2014 წელს 40.6 მლნ. ლარი შეადგინა, 2021 წელს კი - 77.6 მლნ. ლარი, რაც 2021 წლის დაზუსტებულ მონაცემებზე 91 პროცენტით ნაკლებია.

**დიაგრამა №9 ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში**




## 7.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო

მე-19 საუკუნის ბოლოდან ტურისტებმა დაიწყეს ბორჯომში ჩამოსვლა და მას შემდეგ მათ ყურადღებას იპყრობს აქაური კურორტები, მინერალური წყლები, პარკები, სამკურნალო-დასასვენებელი დაწესებულებები და სპა გამაჯანსაღებელი ცენტრები. მოგვიანებით კი განვითარდა სათხილამურო ინფრასტრუქტურა, სანატორიუმები და სასტუმროები ბაკურიანში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადგილი ახლა უკვე იღებს ტურისტებს მთელი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, თავისი უზარმაზარი ტყეებით, ხელუხლებელი და დაცული ტერიტორიებით, არის ტურისტების მოზიდვის კიდევ ერთი საშუალება, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტში მდებარე მრავალი სხვა ისტორიული და კულტურული ძეგლი.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით მოეწყო თანამედროვე სახის საკემპინგე ადგილები. ქალაქში ფუნქციონირებს კერძო და მუნიციპალური ტურისტული საინფორმაციო ცენტრები. ტურისტული ცენტრი ინდივიდუალურ მოგზაურებს სთავაზობს მარშრუტებს, აძლევს ინფორმაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული დანიშნულების ობიექტების შესახებ, როგორიცაა: განთავსებისა და კვების ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლის განრიგი, ინფორმირება ბორჯომში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ადგილების შესახებ, როგორიცაა: მუზეუმები, ტურისტული ღირსშესანიშნაობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული

ტერიტორიები და სხვა. მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა ტურისტული მარშუტების, საფეხმავლო ბილიკების, ნიშნების და მიმართულებების მოწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდა ტურისტული საინფორმაციო ბანერები და მარშუტების რუკები. ტურისტების ინფორმირების მიზნით პერიოდულად იბეჭდება საინფორმაციო ბროშურები. მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა და განვითარდა სასტუმროები და საოჯახო სასტუმროები. ბორჯომში არის ოთხი ტიპის საცხოვრებელი ჩამოსულთათვის: მაღალი სტანდარტების მქონე სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, კერძო სახლები და ბინები. სასტუმროში დარჩენის ღირებულება მერყეობს 50 აშშ დოლარიდან 200 აშშ დოლარამდე დღეში, ხოლო კერძო სახლი გაცილებით იაფია - 15-20 აშშ დოლარი დღეში.

**№5 სასტუმროები და საოჯახო სასტუმროები ბორჯომის მუნიციპალიტეტში**

| | |
|---|---|
| ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო | 2 |
| ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო | 1 |
| სამვარსკვლავიანი სასტუმრო | 3 |
| საოჯახო სასტუმროები ბორჯომის მუნიციპალიტეტში (ბორჯომი, სადგერი, ტბა, ცემი, წაღვერი) | 70 |
| კერძო სახლები (სადგერი, ტბა, ცემი, წაღვერი) | 250 |
| ბინები ბორჯომში | 217 |
| ორ და სამ ვარსკვლავიანი სასტუმროები და საოჯახო ტიპის სასტუმროები ბაკურიანში | 86 |

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხელუხლებელი ბუნება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ღირსშესანიშნაობაა რეგიონში ჩამოსული ტურისტებისთვის. ეს არის პირველი პარკი კავკასიაში, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და არის ველური ბუნების დაცვის ევროპული ორგანიზაციის - PAN Parks-ის წევრი, რაც არის მისი დაცვისა და მდგრადი ტურიზმის გარანტია. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორების რაოდენობა 2014-2022 წლებში.

**დიაგრამა №10 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორები**




ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის ტურიზმი ითვლება ბორჯომის ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად. მუნიციპალიტეტში ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობის ზრდა და მათ მიერ

ეროვნული პარკის მონახულება იმის მაჩვენებელია, რომ არსებობს მოთხოვნა გაიზარდოს ტურისტული სერვისების რაოდენობა, განვითარდეს ტურისტებისათვის საცხოვრებელი ადგილები, გაუმჯობესდეს მომსახურებისა და დაწესებულებების ხარისხი და დამყარდეს კავშირი ტურიზმსა და სხვა სექტორებს შორის. ასევე, რადგან ვიზიტორების რაოდენობა იზრდება, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ღირსშესანიშნაობებისა და იმ შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც ბორჯომს გააჩნია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებას. ამავდროულად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არცერთი სექტორის განვითარებამ არ მიაყენოს ზიანი გარემოს.

საერთო მონაცემებით, მუნიციპალიტეტში ჩამოსული როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. 2018 წელს, მუნიციპალიტეტში ჩამომსვლელ ვიზიტორთა საერთო რაოდენობამ 229 ათასი ადამიანი შეადგინა, ხოლო 2022 წელს 296 ათასი ადამიანი.

**დიაგრამა №11 ვიზიტორების რაოდენობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში**




ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 143 კულტურული მემკვიდრეობის და 13 ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლი არის გამოვლენილი და აღწერილი, რომელთა შორისაა უძველესი ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები და გამორჩეული მონასტრები, რომელთაგან ზოგი VI საუკუნით თარიღდება. ეს ობიექტები კარგად არის დოკუმენტირებული და აღრიცხული. თუმცა, ამ რესურსის დიდი ნაწილი დეტალურ არქეოლოგიურ კვლევებს და საკონსერვაციო ზომებს საჭიროებს. ისტორიული ღირსშესანიშნაობების და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ჩამონათვალი და მათი განმარტება წარმოდგენილია ამ დოკუმენტის დანართში (დანართი №1).

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ცნობილი ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტია. მუნიციპალიტეტის მთავარი სიმდიდრეა სამკურნალო მინერალურ-თერმული წყლები და უნიკალური ბუნება. ამჟამად ბორჯომის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია საქართველოში, რომელსაც წლის ნებისმიერ სეზონზე სტუმრობს ტურისტ-დამსვენებელი. მუნიციპალიტეტში გამაჯანსაღებელი ტურიზმისადმი ინტერესი და მოთხოვნა განსაკუთრებით იზრდება ევროპის მასშტაბით. ჯანმრთელობის ტურიზმზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა მაგრამ შეიცვალა სტრუქტურა და სპა/გამაჯანსაღებელი ტურიზმი უფრო მოთხოვნადი გახდა, ვიდრე სამედიცინო ტურიზმი. მუნიციპალიტეტს შეუძლია ისარგებლოს და ევროპელი სპა/გამაჯანსაღებელი ტურისტების ყურადღება მიიქციოს. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ეკონომიკურად გაძლიერება, საინვესტიციო და ტურისტული გარემოს გაუმჯობესება, მოგზაურთათვის მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი

ტურისტული პროდუქტისა და საუკეთესო შთაბეჭდილების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას და ცხოვრების დონის ამაღლებას. მუნიციპალიტეტში შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, სწორი რეკლამირება და მრავალმხრივი შესაძლებლობები მუნიციპალიტეტს უკეთეს მომავალს შეუქმნის. მუნიციპალიტეტს შეუძლია თავისი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ, საჭიროებს ყურადღების გამახვილებას შემდეგ ასპექტებზე:

- ✓ საქართველოს მდიდარი და უნიკალური კულტურა (მუსიკა, ცეკვა, ხელოვნება, ისტორია, რელიგია, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე);
- ✓ დაცული ტერიტორია, მათ შორის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი;
- ✓ ეკო, სათხილამურო, ველო, სამთო, სათავგადასავლო, გამაჯანსაღებელი და სხვა სახის ტურიზმის განვითარება;
- ✓ კარგი კლიმატური პირობები;
- ✓ მიმზიდველი ბიზნეს და საინვესტიციო გარემო;
- ✓ ქართველი ხალხის მეგობრული განწყობა და სტუმართმოყვარეობა;

## 8. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

### 8.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე დამსვენებლებისათვის წარმოადგენს სასმელი წყლის სისტემები, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიმდებარე სოფლებში და დაბებში. ძირითადად მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს არასაკმარისი დებეტი და წვიმიან ამინდებში დაბინძურებული სასმელი წყალი. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას კარგად აქვს გააზრებული აღნიშნული პრობლემა, თუმცა არასაკმარისი თანხების გამო ვერ ახორციელებს ფუნდამენტურ და მასშტაბურ სამუშაოებს და ცდილობს პრობლემების მოგვარებას ეტაპობრივად, შეძლებისდაგვარად.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ტურიზმის განვითარებასთან ერთად მუნიციპალიტეტის სოფლებში და დაბებში გაჩნდა ახალი სასტუმროს ტიპის ობიექტები, რომელთა რაოდენობაც ყოველწლიურად იმატებს. ადრე თუ წყლის დებეტი სოფლის ან დაბის მოსახლეობისათვის საკმარისი იყო, დღესდღეობით აღნიშნული ობიექტები მოიხმარენ შედარებით მეტ წყალს და შესაბამისად იქმნება სასმელი წყლის არასაკმარისობის პრობლემა. ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია და მდგომარეობა წარმოდგენილია ამ დოკუმენტის დანართში (დანართი №2).

ასევე უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, შიდა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურ რეჟიმში ცდილობს მოაწესრიგოს არა მხოლოდ ქალაქის ცენტრალური გზები, არამედ სოფლებისა და დაბების გზები და ჩიხებიც კი. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 283.99 კმ. საიდანაც რეაბილიტირებულია 146.769 კმ, რაც მთლიანი გზები 51%-ს შეადგენს. რეაბილიტაციას საჭიროებს 135.167 კმ. სარეაბილიტაციო გზებისა და ჩიხების რეაბილიტაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ეტაპობრივად ახორციელებს ყოველწლიურად.

მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას წარმოადგენს ხიდებიც. ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა ხიდის შესახებ ინფორმაცია და ამჟამინდელი მდგომარეობა წარმოდგენილია ამ დოკუმენტის დანართში (დანართი №3).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის თითქმის მთელი ტერიტორია გაზიფიცირებულია გარდა სოფლებისა: პატარა მიტარბი, თორი, ჭობისხევი, ტაძრისი, საკირე და დგვარი. მიმდინარეობს სოფლების დვირი, ქვაბისხევი და ჩითახევის გაზიფიცირება.

ელექტრომომარაგება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტურიზმის და ეკონომიკის განვითარების მხრივ. ამ მიმართულებით ბორჯომის მუნიციპალიტეტში მთელს ტერიტორიაზე არსებობს ელექტრომომარაგების სისტემები გარდა სოფელი თორისა, სადაც წინა წლებში დამონტაჟდა მზის პანელები, რომლებიც გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას მზის საშუალებით.

მსგავსი, თუმცა უფრო მასშტაბული მზის ელექტროსადგური 2022 წელს დამონტაჟდა ქალაქ ბორჯომში არსებულ საბავშვო ბაღებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საბავშვო ბაღების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების შემცირებას. მსგავსი ტიპის ელექტროსადგურების დამონტაჟება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის განვითარებას და სახელწიფოს ხარჯების შემცირებას.

მზის ელექტრო სადგურების შეძენა მონტაჟი მიმდინარე წელს დაგეგმილია ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ გუჯარეთში (2 სადგური), ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ თორში (4 სადგური), ბორჯომის მუნიციპალიტეტი კოდიანი (4 სადგური), ბორჯომის მუნიციპალიტეტი გომნა (1 სადგური).

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მოცულობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ გადამტვირთავ სადგურზე/ნაგავსაყრელზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

ა(ა)იპ „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის“ სამსახური და სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“ უზრუნველყოფს შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირებას გადამტვირთავ სადგურამდე, რომელიც მდებარეობს ბორჯომ-ბაკურიანს საავტომობილო გზის მიმდებარე. სოფელ დაბასთან. გადამტვირთი სადგურიდან ნარჩენების ტრანსპორტირებას ქალაქ ხაშურის ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. მუნიციპალიტეტს არ აქვს ინფორმაცია მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების შესახებ.

უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა, რადგან არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების განცალკევებული შეგროვება.

ასევე, არ მოიპოვება მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარიტიანი (რადგან მათი გატანა არ ხდება შემგროვებელი ორგანიზაციის მიერ და მოსახლეობა ძირითადად საკუთარ ტერიტორიაზე ინახავს ამ ტიპის ნარჩენს) და სამშენებლო ნარჩენების რაოდენობის შესახებ (ამ ტიპის ნარჩენების განთავსება ხდება ძირითადად საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე).

გასული წლების მონაცემები გვიჩვენებს, რომ ნარჩენების შეგროვების ტენდენცია არის მზარდი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ქალაქის ტერიტორიაზე 2021 წელს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 7105 ტონას, სოფლად და დაბებში წარმოქმნილი ნარჩენის რაოდენობა შეადგენს 6104 ტონას, 2021 წელს მთლიანად მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი იქნა13209 ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი.2022 წელს მთლიანად მუნიციპალიტეტში შეგროვებული იქნება დაახლოებით 15180 ტონა მუნიციპალური ნარჩენი.

**დიაგრამა №12 შეგროვების მომსახურების დაფარვა**










მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობაში უმეტესი წილი მოდის ბიოლოგიურ ნარჩენებზე (46%). სხვა სახის ნარჩენებიდან, აღსანიშნავია პოლიეთილენი/პლასტმასის ნარჩენების (16,40%), ქაღალდი და მუყაო (10%), შავი ლითონისა (1,10%), ფერადი ლითონისა (0.40%), ქსოვილი და ტყავი (9,22%) და მინის (3,50%) შემცველობა აქ წარმოქმნილ ნარჩენებში.

**დიაგრამა №13 ნარჩენების შედგენილობა**



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ განლაგებულია 1.1მ$^3$ მოცულობის 531 ცალი მეტალის სახურავიანი, 1.1მ$^3$ მოცულობის 300 პლასტმასის ნაგვის კონტეინერი და 0.6 მ$^3$ მოცულობის 150 ცალი ნაგვის ურნა.

არის სოფლები, სადაც არ არის განთავსებული კონტეინერები და მომსახურების მიწოდება ხდება კვირაში ორჯერ ზარის სისტემით. რაც შეეხება კონტეინერებს, დაცლა ხორციელდება შესაბამისი გრაფიკის მიხედვით, ყოველდღიურად, დღეში ორჯერ, კვირაში ორჯერ და ა.შ.

მუნიციპალიტეტში არის სოფლები, სადაც დღემდე არ ხდება ნარჩენების გატანა. (სოფელი პატარა ცემი, სოფელი პატარა მიტარბი, სოფელი თორი, სოფელი ლიბანი).

დაზიანებული ნაგავშემკრები კონტეინერების შეკეთებას, ურნებისა და ნაგავმზიდი ტექნიკის სანიტარულ დამუშავებას (დეზინფექცია) უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა" და სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო".

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის სტიქიური ნაგავსაყრელები.

მოსახლეობის მიერ ნაგავი ჯერ კიდევ ინტენსიურად იყრება ძირითადად ხევებში და მიმდებარე ტერიტორიებზე, მდინარის ნაპირებზე. ბორჯომის მუნიციპალიტეტი შესაძლებლობის ფარგლებში სისტემატიურად ახდენს წარმოქმნილი ნაგავსაყრელების დასუფთავებას რათა არ მოხდეს აღნიშნული ტერიტორიების მაშტაბურ ნაგავსაყრელად გადაქცევა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში არ მოქმედებს რაიმე საწარმო, რომელიც მოახდენდა აღდგენადი მასალების ცენტრალიზებულ შეგროვებას და გატანას, ასევე, მუნიციპალიტეტში არ არის მოწყობილი ნარჩენების შეგროვების პუნქტები. ნარჩენების შეგროვება მათი შემდგომი აღდგენის მიზნით ცალკეული პირების მიერ უკონტროლოდ ხდება.

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქაღალდი, პლასტიკი და ორგანული ნარჩენები), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს. მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე ეფექტიანი იქნება ასეთი შეგროვების პუნქტების მოწყობა მაღაზიებთან და საერთო სარგებლობის ადგილებთან.

ქუჩების დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება სახლებიდან, საჯარო დაწესებულებებიდან და აგრეთვე ნარჩენების საბოლოო განთავსება არ არის უფასო მომსახურება. სახელმწიფომ და შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა შეიმუშავეს ე.წ. „დამაბინძურებელი იხდის" პრინციპი, რომლის თანახმად, ნარჩენების წარმომქმნელი იხდის შეგროვებისა და განთავსების ხარჯებს.

მუნიციპალიტეტში დღესდღეობით, მოსახლეობიდან და საჯარო დაწესებულებებიდან ამოღებული მოსაკრებელი ვერ ფარავს გაწეული მომსახურების ხარჯებს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მოსაკრებლის ამოღება სრულად ვერ ხორციელდება (ძირითადად მოსახლეობიდან) და დაბალია გადასახადი ტარიფები.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების გადასახადის გადახდა მოსახლეობის მხოლოდ 54%-ის მიერ ხდება, მისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია გადასახადის ამოღების სუსტი ადმინისტრირების პრაქტიკა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ევროპაში ნარჩენების მართვის სისტემების განხილვის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი.

ბორჯომის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვის იმ ვალდებულებებს, რომელიც განსაზღვრულია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიერ.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა მიმართულია ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე, როგორიცაა:

- საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ეფექტიანი ადგილობრივი პროგრამების, პროცესებისა და ობიექტების შექმნის თვალსაზრისით;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის, როგორც მოსახლეობის, ისე კომერციული ობიექტებისა და საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციული ობიექტებისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკების მინიმიზაცია;
- გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არსებული სისტემასთან;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოება, რათა მოცული იქნას მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა;
- ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
    - ✓ მუნიციპალური ნარჩენები 90% 2026 წლისთვის;
    - ✓ სახიფათო მუნიციპალური ნარჩენები 50% 2026 წლისთვის;
- სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2024 წლისთვის;
- ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
    - ✓ ქაღალდი 30% 2025 წლისთვის;
    - ✓ პლასტიკი 30% 2025 წლისთვის;
- მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2025 წლისთვის;
- ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევებში ეფექტიანი საქმისწარმოება, საჯარიმო სანქციების სისტემის აქტიური ამუშავება;

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე;

## 8.2 ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

ბორჯომის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საკურორტო ზონას, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც მეტად საინტერესოს და მიმზიდველს ხდის მუნიციპალიტეტს როგორც ადგილობრივი ისე უცხოელი ვიზიტორებისათვის. რაც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული მიმართულებით უმნიშვნელოვანესია როგორც ქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებსა და დაბებში მოწესრიგებული ერთიანი იერსახის შექმნა, მოწყობილი სარეკრეაციო და გასართობი სივრცეები, სკვერები, პარკები, ნაკრძალები, სპორტულ გამაჯანსაღებელი სივრცეები, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, გამართული წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელი. ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ინფრასტრუქტურა წარმოადგენს, ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტი პროექტების დასაფინანსებლად და სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ქალაქის ერთიანი მოწესრიგებული იერსახის შექმნის მიზნით მიმდინარეობს ცენტრალურ ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია, აღნიშნული პროგრამა 2020 წლიდან დაიწყო მუნიციპალიტეტმა, ქალაქის მასშტაბით დასრულებულია 11 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს 3 კორპუსი და 2024 წლისათვის იგეგმება 5 კორპუსის რეაბილიტაცია.

სკვერებისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა განხორციელებულია როგორც ქალაქში ასევე მუნიციპალიტეტის ყველა დაბასა და სოფელშიც. მიმდინარე წელს დასრულდა ქ. ბორჯომის მ. კოსტავას სახელობის პარკისა და მოედნის რეაბილიტაცია, აღნიშნული პროექტი უმნიშვნელოვანესია ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის ვინაიდან ცენტრალური პარკის ყველა ვიზიტორები სწორედ ამ გზით გადაადგილდებიან. სრულად განახლდა პარკის ტერიტორია, მოეწყო ახალი გასართობი სივრცეები, როგორც ბავშვებისათვის ასევე მოზრდილებისთვის, რეაბილიტაცია ჩაუტარდა კოსტავას სახელობის მოედანს სავალ ნაწილს, მოეწყო ქვაფენილი, მოწესრიგდა მიმდებარე ინფრასტრუქტურა. ასევე ქალაქ ბორჯომში რუსთველის ქუჩაზე სანაპიროს მიმდებარედ განხორციელდა სკვერის მოწყობა, რაც ქალაქის შემოსასვლელს მეტად მიმზიდველს და მოწესრიგებულს ხდის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თითქმის ყველა დასახლებაში ფუნქციონირებს მინი სპორტული მოედნები და გარე სავარჯიშო მოწყობილობები ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით.

სხვადასხვა სპორტული აქტივობების განვითარებისა და ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია მოქმედი სტანდარტების შესაბამისი ცენტრალური საფეხბურთო მოედანის არსებობა ქალაქ ბორჯომში, რაც მწყობრიდან გამოსულია და საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას. აღნიშნული საფეხბურთო მოედანის რეაბილიტაციისათვის შედგენილია შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ბიუჯეტში თანხების არსებობის შემთხვევაში დაიგეგმება სამუშაოების წარმოება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებობს ისეთი სოფლები სადაც ცხოვრობს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა, ასეთებია: ტაბაწყური, მოლითი, ბალანთა და ჭიხარულა. სოფელი ტაბაწყური ტურისტებისათვის საკმაოდ მიმზიდველი ადგილია და ხშირადაც სტუმრობენ მას, თუმცა დაბრკოლებას წარმოადგენს ბაკურიანიდან სოფელში მისასვლელი გზა, მოგეხსენებათ რომ აღნიშნული სოფლები წარმოადგენს მაღალმთიან ზონებს და ზამთრის პერიოდში უხვი ნალექის გამო გაზაფხულამდე მოწყვეტილი არიან მუნიციპალიტეტის ცენტრს. აღნიშნული გზა ზამთრის პერიოდში თითქმის ყოველდღიურად საჭიროებს მძიმე ტექნიკით გაწმენდას. აქვე გეტყვით იმასაც რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ახალქალაქის საზღვრიდან სოფელ ბალანთის გავლით სოფელ ტაბაწყურადე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას პროექტი 2020 წელს დაიწყო, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სოფელ მოლითის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და მომავალი წლისთვის დაგეგმილია სოფელ მოლითიდან სოფელ ტაბაწყურამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რაც უზრუნველყოფს იქ მცხოვრები მოსახლეობის შედარებით მარტივ წვდომას მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სერვისებზე, რადგან ტრანსპორტირების დრო შემცირდება, მოსახლეობა აღარ მოსწყდება გარესამყაროს ზამთრის სეზონზე და ტურისტებიც მარტივად ესტუმრებიან ტაბაწყურის ტურისტულ ზონებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში გასართობი ინფრასტრუქტურა ძირითადად საბავშვო ატრაქციონებით, გამწვანებული გასართობი/დასასვენებელი სივრცეებით, სკვერებით, პარკებით, საცურაო აუზით, მულტიფუნქციური სპორტული მოედნებით, ფიტნეს-სავარჯიშო მოწყობილობებით და კაფეებით შემოიფარგლება. რაც შეეხება კლუბებს და სხვა გასართობ ცენტრებს მუნიციპალიტეტში სერიოზული დეფიციტია.

ტურიზმის სექტორში გამოვლენილი გამოწვევები საჭიროებს ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიან დაგეგმვას და მართვას და რიგი ფუნქციების გატარებას, კერძოდ:

- ✓ მუნიციპალიტეტის საქალაქო მეურნეობის ინფრასტრუქტურის სტაბილური და შეუფერხებელი მუშაობისა და მომსახურების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია;
- ✓ კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებაში, ასევე მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
- ✓ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ტროტუარების, პარკების, სკვერების, შადრევნების, გარე განათების ობიექტების, სანიაღვრე არხების, წყალსაცავების, ხიდების და სხვა საქალაქო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, მშენებლობა-აღჭურვა და სხვა;
- ✓ მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის სფეროს პრობლემატიკისა და პროცესების კვლევა, დარგის განვითარებისათვის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა;
- ✓ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სექტორის განვითარება და რეაბილიტაციის პროექტების უზრუნველყოფა, დამტკიცებული მუნიციპალური პროგრამების რეალიზაცია;
- ✓ მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი და დეტალური პროექტების შედგენა;
- ✓ საპროექტო სამუშაოების მაღალი ხარისხით და დროულად განხორციელების შესრულება;
- ✓ პროექტის განხორციელებისას მოსალოდნელ და დამდგარ რისკებზე დროული რეაგირება;

ინფრასტრუქტურის მთავარ გამოწვევად რჩება შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების, კერძოდ მშენებელი სპეციალისტების დიდი დეფიციტი. უკეთესი განათლებისა და სამუშაო შესაძლებლობების მოძიების მიზნით მუნიციპალიტეტიდან მიგრაცია კვალიფიციური მუშახელის მარაგს ამცირებს და კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სტუდენტებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დამთავრების შემდეგ სწავლას სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ კოლეჯებში აგრძელებენ, უკან დაბრუნების სურვილი აღარ აქვთ. გამოწვევაა ახალგაზრდების ჩართვა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი, ბუნებრივი რესურსების წარმოება, ვაჭრობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება ბიზნესის ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

## 9. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

### 9.1. ჯანდაცვა და ამ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია შემდეგი სეზონური დაავადებები: ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ლაიმის დაავადება, ბრუცელიოზი - ყველა ეს დაავადება წარმოდგენილია წლის განმავლობაში ერთეული შემთხვევების სახით.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს 4 სამედიცინო დაწესებულება:

- შპს - ჯეოჰოსპიტალსის ბორჯომის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი;
- შპს - რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ბაკურიანი;
- შპს - წმინდა პანტელეიმონ მკურნალის კლინიკა;
- სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, ბორჯომის რაიონული სამსახური;

ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 12 სოფლის ამბულატორია, სადაც დასაქმებულია 16 ექიმი და 22 მედდა.

შპს. ჯეოჰოსპიტალის ბორჯომის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში არის 36 საწოლი, რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში (ბაკურიანი) – 5 საწოლი და შპს წმინდა პანტელეიმონ მკურნალის კლინიკაში 11 საწოლი, ჯამში სულ 52 საწოლი.

ექიმთა რაოდენობა შემდეგნაირია:

- შპს. რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ბაკურიანი - 3 რეანიმატოლოგი, 2 გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი, 4 პედიატრი, 1 ქირურგი, 1 კარდიოლოგი, 1 ექიმი რენტგენოლოგი;
- შპს. წმინდა პანტელეიმონ მკურნალის კლინიკა: 1 ქირურგი, 2 ნეფროლოგი, 1 რევმატოლოგი, 1 ექიმი ლაბორანტი;
- შპს. ჯეოჰოსპიტალსის ბორჯომის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი: სულ 60 ექიმი, მათ შორის 6 შინაგანი მედიცინის ექიმი, 4 ოჯახის ექიმი, 5 პედიატრი, 2 კარდიოლოგი, 1 ენდოკრინოლოგი, 1 ანგიოლოგი, 1 ფთიზიატრი, 1 დერმატოვენეროლოგი, 1 ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სპეციალისტი, 2 ინფექციონისტი, 1 ნევროლოგი, 1 ნეონატოლოგი, 1 ბავშვთა

ნევროლოგი, 7 ზოგადი ქირურგი, 1 ოფთალმოლოგი, 2 ოტორინოლარინგოლოგი, 1 ონკოლოგი, 1 უროლოგი, 5 მეან-გინეკოლოგი, 3 რადიოლოგი, 4 ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, 1 ფსიქიატრი, 5 ზოგადი პროფილის ექიმ-ლაბორანტი, 1 ყბა-სახის ქირურგი, 2 უმცროსი ექიმი.

- სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, ბორჯომის რაიონული სამსახური: ზოგადი პროფილის 16 ექიმითაა დაკომპლექტებული.
- ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი: 4 ექიმი ეპიდემიოლოგი,

მუნიციპალიტეტში სასწრაფო სამედიცინო დახმარება მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია. ცენტრს ემსახურება ძირითადად 4 სამედიცინო ბრიგადა, ზაფხულის სეზონის დროს სამედიცინო ბრიგადების რაოდენობა აღწევს ხუთს, ხოლო ზამთრის სეზონზე 8 ბრიგადას.

სოფლის ექიმები და ექთნები ჯანდაცვის სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. ამავე დროს, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში, რომელსაც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მართავს.

მუნიციპალიტეტში მთავარი გამოწვევაა სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი, თანამედროვე აღჭურვილობის ნაკლებობა, სუსტი მენეჯმენტი და სამედიცინო პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია. ამიტომ პაციენტები ხშირად მიმართავენ თბილისის საავადმყოფოებს და კლინიკებს, რათა ჩაიტარონ პროფესიული სამედიცინო კვლევა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რაც მათთვის დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემა ასევე ვლინდება სამედიცინო ცენტრებში ადეკვატური აღჭურვილობისა და საჭირო რესურსების ნაკლებობის მხრივაც.

ექიმების და ექთნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია უფრო ხშირი ტრენინგების ორგანიზება პირველადი ჯანდაცვის თემებზე. მედიცინის მუშაკები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ჯანდაცვის სერვისების მართვისა და მიწოდებისათვის, განსაკუთრებით სოფლად. უწყვეტი სწავლა და უწყვეტი განათლება ექიმების და ექთნების პრაქტიკისა და მომსახურების აუცილებელი ელემენტია. ჯანდაცვის პროფესიონალებმა ხშირად უნდა გაიარონ გადამზადება თანამედროვე ცოდნის მიღების და უნარების შეძენის მიზნით, რათა პაციენტებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება გაუწიონ. ასეთივე სიტუაციაა აფთიაქებთან და მსგავს ობიექტებთან მიმართებაში, რომლებიც განლაგებულია მხოლოდ ბორჯომსა და დაბა-ბაკურიანში. ბორჯომის მუნიციპალიტეტში არ არსებობს უფასო სამედიცინო მომსახურება, მაგრამ მოქმედებს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამა.

## 9.2 სოციალური მომსახურება

ბორჯომის მუნიციპალიტეტს ერთ-ერთი გამორჩეული სოციალური პროგრამა აქვს ქვეყნის მასშტაბით. მუნიციპალიტეტში სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაზიარებული სტატისტიკით, სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა ბოლო წლებში გაიზარდა, რაც ახსნილია იმით, რომ გაზრდილია სარეიტინგო ქულის ზღვარი, რაც გულისხმობს 16 წლამდე ბავშვიანი ოჯახებისათვის სოციალური

დახმარების მიღებას. 2023 წლის ივნისის მდგომარეობით ბორჯომის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა შეადგენს 2441-ს, აქედან 1346 ქალია.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა, რომლის საერთო რაოდენობა დღეის მდგომარეობით შეადგენს 90 პირს, აქედან 4 მარტოხელა მამაა. მათი ყოველთვიური დახმარების თანხა შეადგენს 100 ლარს, ამასთანავე ყოველწლიურად ერთჯერადი დახმარების თანხა გაიცემა ახალ წელს, ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე. პროგრამა ითვალისწინებს ასევე მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირების გაძლიერებას და დახმარებას კერძოდ:

- ოჯახები რომელთაც ჰყავთ 0 დან 18 წლამდე ასაკის 4 (ოთხი) და მეტი შვილი ყოველთვიური დახმარება განსაზღვრულია 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
- ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზა“ -ში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 160000 -ს და ჰყავთ 0 დან 18 წლამდე ასაკის 4 (ოთხი) და მეტი შვილი ყოველთვიური დახმარება განსაზღვრულია 250 (ორას ორმოცდაათი ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
- ოჯახებს რომლებსაც შეეძინებათ მე-4 და მომდევნო შვილი ერიცხებათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
- ,,დედის დღე “ - ის დღესასწაულის აღსანიშნავად მრავალშვილიან დედებს, რომელთაც ჰყავთ 0 დან 18 წლამდე ასაკის 4 (ოთხი) და მეტი შვილი, ერთჯერადი ფულადი დახმარება განსაზღვრულია 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
- ,,ახალი წლის “ და „იესო ქრისტეს აღდგომის“ დღესასწაულზე მრავალშვილიან ოჯახებს ერიცხებათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.
- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახების თანადაფინანსება კომუნალურ გადასახადების გადახდისას ა) ელექტრო ენერგიის თანადაფინანსება 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით და ბ) ბუნებრივი აირის თანადაფინანსება 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.
- სრული სტაციონარული სამედიცინო დაფინანსებით სარგებლობენ მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, მაქსიმალური გასაცემი თანხა განსაზღვრულია 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.
- მრავალშვილიანი ოჯახებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასოა.

<u>ომის მონაწილეები:</u>

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 2 პირი.
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე შშმ ვეტერანები 27 პირი.
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ავღანეთი) საბრძოლო მოქმედების ვეტერანები 25 პირი.
- ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე ვეტერანები 5 პირი.

მუნიციპალიტეტის ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული და მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების, ასევე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ავღანეთი) საბრძოლო მოქმედების ვეტერანების, 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებული პირების და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე ვეტერანების დახმარებას

1. ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით „მეორე მსოფლიო ომი"-ს მონაწილე ვეტერანებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო მათთან გათანაბრებულ პირებს 100 (ასი) ლარის ოდენობით.
2. ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით „მეორე მსოფლიო ომი"-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.
3. „ახალი წლის" და „იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის" დღესასწაულზე გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით:

   ა) „მეორე მსოფლიო ომი"-ს მონაწილეებს, მათთან გათანაბრებულ და მარჩენალდაკარგულ პირებს;

   ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში და სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ავღანეთი) საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებს;

   გ) ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს;

   დ) 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირებს;

   ე) „მეორე მსოფლიო ომი"-ში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალური დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზა"-ში და სარეიტინგო ქულა 160000-ს არ აღემატება;

   ვ) „ომის ვეტერანი"-ს სტატუსის მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (I და II ჯგუფი) პირებს.
4. „მეორე მსოფლიო ომი"-ს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანთა გარდაცვალებისას ოჯახისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მრავალშვილიანი ოჯახების სტატისტიკური მონაცემები იზრდება ყოველწლიურად, დღეის მდგომარეობით მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 100-ს, პროგრამა გულისხმობს შემდეგს:

<u>**მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება**</u>

1. „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზა"-ში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 160000 -ს და ყავთ 0-დან 18 წლამდე ასაკის 4 (ოთხი) შვილი,

ყოველთვიური დახმარება განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. ოჯახები რომელთაც ყავთ 0-დან 18 წლამდე ასაკის 4 (ოთხი) შვილი ყოველთვიური დახმარება განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
3. „დედის დღე"-ის დღესასწაულის აღსანიშნავად მრავალშვილიან დედებს, რომელთაც ყავთ 0-დან 18 წლამდე ასაკის 4 (ოთხი) შვილი, ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
4. „ახალი წლის" და „იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის" დღესასწაულზე მრავალშვილიან ოჯახებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.
5. ასევე სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს მრავალშვილიანი ოჯახების თანადაფინანსება კომუნალური გადასახადების გადახდისას შემდეგი ოდენობით:

    ა) ელექტრო ენერგიის თანადაფინანსება 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით;

    ბ) ბუნებრივი აირის თანადაფინანსება 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 1920 პირს, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური დახმარების პროგრამებით.

0 დან 18 წლამდე შშმ პირებზე მომართვა გაზრდილია და მათი საერთო რაოდენობა დღეის მდგომარეობით შეადგენს 90-ს. აღნიშნული პირები არიან ასევე მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული პროგრამის მონაწილეები და ღებულობენ იმ დახმარებებს რაც მოიცავს შემდეგს:

1. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით, გარდა ამისა დამატებით ერთჯერადი დახმარება გაეწიოთ „ახალი წლის" და „იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის" დღესასწაულზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. საკურორტო მომსახურეობა მიეცემა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს. ერთ ბენეფიციარზე საკურორტო მომსახურეობა განკუთვნილია ერთჯერადად არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით. ვაუჩერის მფლობელს უფლება აქვს ისარგებლოს მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ შერჩეულ საქართველოს კურორტებზე არსებულ სასტუმროებში ან კერძო გამქირავებელთან 6 დღე-ღამით. ბენეფიციარის დაფინანსება მოხდება მის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად.

ამასთანავე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვანი პირების დახმარება

1. 18 წლის ზევით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (I ჯგუფი) პირებს ერთჯერადი ფულადი დახმარება „ახალი წლის" და „იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის" დღესასწაულზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 2 დღის ცენტრი, რომლის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია სრულად უზრუნველყოფს მათი კომუნალური ხარჯების დაფინანსებას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში და ზოგადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არ არის ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფარი.

სოციალური დაცვის მდგრადი, სამართლიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების პროგრამა ოჯახების დახმარებაზე ორიენტირებული ყველაზე დიდი პროგრამაა. არსებული პროგრამა ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ჯგუფს არ მოიცავს. ერთჯერადი ფულადი დახმარება არაეფექტურია. ადეკვატური მომსახურების გაწევისა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტს შესაბამისი მონაცემთა ბაზები და მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების შესახებ ინფორმაცია სჭირდება, შეფასების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური საჭიროებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის დახვეწას და მათი პრობლემების ადგილზე გაცნობას, მეთოდოლოგიის ცვლილების შემდეგ, დახმარების საჭიროების მქონე უფრო მეტი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება სოციალური დახმარებით.

მუნიციპალიტეტში მთავარ აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევად, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში ასევე სახელდება უმუშევრობა. უმუშევრობა გვევლინება სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

## 10. განათლება, კულტურა და სპორტი

### 10.1. განათლებაზე ხელმისაწვდომობა

ახალგაზრდობის განვითარებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი გამოწვევა არის განათლება, პროფესიული განათლების და სამეწარმეო უნარების მქონე ახალგაზრდების რაოდენობა მცირეა, რაც ხელს უშლის არა სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის განვითარებას. უცხო ენის ცოდნის დონეც ასევე დაბალია, რაც ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 3595-ს. 2010-2011 წელთან შედარებით, 2021-2022 წელს მოსწავლეების რაოდენობა 14 პროცენტით შემცირდა. 2014 წლის საქსტატის მონაცემებით, 15-29 წლის ახალგაზრდების 17.3% -ს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 15.2%-ს - პროფესიული განათლება. გასული 5 წლის განმავლობაში, ორი ახალი სკოლა აშენდა და აღიჭურვა ახალი სასკოლო ინვენტარით, ხოლო ათი არსებული სკოლას ნაწილობრივ ჩაუტარდა რეაბილიტაცია. მიუხედავად ამისა, ბევრი სკოლა კვლავაც ცუდ მდგომარეობაშია და სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს. კვალიფიციური და სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა 570-მდე გაიზარდა.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების

ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში სულ 2- დან-6 წლამდე 985 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება 796 აღსაზრდელს, აქედან 439 ბიჭია და 357 გოგო. ასევე ბაკურიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, სადაც ირიცხება 99 აღსაზრდელი, აქედან 46 ბიჭია და 53 გოგო. საბავშვო ბაღებს ემსახურება 60 აღმზრდელი-პედაგოგი და 162 დამხმარე ტექნიკური პერსონალი. საბავშვო ბაღებში მომუშავე ყველა აღმზრდელ-პედაგოგმა გაიარა მაღალი სტანდარტის ტრენინგ კურსები და გახდა კვალიფიცირებული. საბავშვო ბაღებს ემსახურება ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ და დაბა ბაკურიანის საბავშვო ბაღს - ა(ა)იპ „ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“, რომელთა მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ბაგა-ბაღებში ჩარიცხული აღსაზრდელების სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, კვების ორგანიზებისა და რაციონის დაცვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით გასულ წლებში საბავშვო ბაღებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. მოეწყო საბავშვო ბაღების გარე და შიდა სივრცეები. დაბა ახალდაბაში საბავშვო ბაღის შენობაზე მზის ენერგიის პანელები განთავსდა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სახსრების დაზოგვას და შეამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას.

მიმდინარე წელს ახალი პროგრამის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაბა ბაკურიანში და სოფელ ტაბაწყურში აშენდება საბავშვო ბაღები.

მუნიციპალიტეტში განათლებასთან დაკავშირებით სხვადასხვა გამოწვევები არსებობს. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ზოგიერთ საკითხზე. ბორჯომის მუნიციპალიტეტში არასახარბიელო მდგომარეობაა ფორმალური პროფესიული განათლების მხრივ - არ არსებობს პროფესიული სასწავლებელი, რის გამოც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და განსაკუთრებით, ახალგაზრდებს პროფესიულ განათლებაზე ხელი შეზღუდულად მიუწვდებათ. პროფესიის დაუფლების მიზნით ახალგაზრდების უმრავლესობა მიდის ახალციხეში, გორსა და თბილისში.

უკეთესი განათლებისა და სამუშაო შესაძლებლობების მოძიების მიზნით მუნიციპალიტეტიდან მიგრაცია კვალიფიციური მუშახელის მარაგს ამცირებს და კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სტუდენტებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დამთავრების შემდეგ სწავლას სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ კოლეჯებში აგრძელებენ, უკან დაბრუნების სურვილი აღარ აქვთ. გამოწვევაა ახალგაზრდების ჩართვა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი, ბუნებრივი რესურსების წარმოება, ვაჭრობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. მუნიციპალიტეტში მცირეა პროფესიული განათლების და სამეწარმეო უნარების მქონე ახალგაზრდები, რომელიც პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იქნება ორიენტირებული.

თუმცა აღნიშნული გამოწვევა დროებითია, ვინაიდან 2020 წელს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში პროფესიული კოლეჯის მშენებლობა დაიწყო. პროექტი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური

მხარდაჭერითა და ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით ხორციელდება. ბორჯომის პროფესიული კოლეჯი ძირითადად ტურიზმის, სატყეო, სამშენებლო და სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს განახორციელებს და ამით ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ გაძლიერებას.

### 10.2. არაფორმალური განათლების კულტურისა და სპორტის სერვისები

ბორჯომი მდიდარია ისტორიული/კულტურული ძეგლებით, ეკლესიებითა და ციხესიმაგრეებით. ბორჯომში ფუნქციონირებს თეატრი, ისტორიული მუზეუმი, პარკები, სპორტული ობიექტები და მუსიკალური სკოლა. სოფლებს საერთოდ არ აქვთ საზოგადოებრივი დაწესებულებები, თუმცა ზოგიერთს აქვს სოფლის კლუბი, ზოგს კი ბიბლიოთეკა. ბორჯომს ყავს საფეხბურთო გუნდი «ფეხბურთის კლუბი ბორჯომი" და გუნდები სპორტის სხვა სახეობებში: რაგბი, ძიუდო, ჭიდაობა და ა.შ.

ტრადიციულად ყოველ წელს ტურნირები ტარდება ჭიდაობაში, ჭადრაკში, მინი ფეხბურთში. ყოველწლიურად ტარდება კულტურული ღონისძიებები, მაგალითად „ბორჯომობა", რომელიც ტარდება აგვისტოს ბოლოს და ფესტივალის ფორმატი წარმოადგენს ბორჯომის მრავალფეროვნებასა და ისტორიას; და „ბაკურიანობა", რომელიც თებერვლის ბოლოს სათხილამურო კურორტზე ტარდება და დღესასწაულის ფარგლებში ეწყობა შეჯიბრებები სათხილამურო სპორტში, სნოუბორდსა და ცხენოსნობაში. მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა ახალგაზრდებს სთავაზობს სხვადასხვა სპორტულ სექციებს: ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, რაგბი, კარატე, ჯომარდობა, ფრენბურთი, მკლავჭიდი და სხვადასხვა სახის ჭიდაობა, სადაც სულ 535 მოსწავლეა ჩართული. მუნიციპალიტეტში არის ზამთრის სპორტული სექციები: სათხილამურო, ჰოკეი, ციგურაობა, ბიატლონი, ტრამპლინიდან ხტომა, სადაც სულ 90 სტუდენტია ჩართული.

მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობების გაუმჯობესებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, თავიანთი პოტენციალის სრულად რეალიზებას და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

ბორჯომის ხელოვნების მიმართულება უფრო ფართოა, თითოეულ მიმართულებაში არის შესაბამისი თემატური განყოფილებები: მუსიკალური სკოლა, ბიბლიოთეკების ასოციაცია 23 ფილიალით, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, ფილიალებით ადმინისტრაციულ ერთეულებში, თოჯინების სახელმწიფო თეატრი.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქალაქში რეგულარულად იმართება რეგიონული მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები, რაც ქალაქის პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას უწყობს ხელს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და სხვადასხვა ხელშეწყობა, კულტურის საყოველთაო ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის, რაც თავად კულტურის განვითარებისთვისაც ერთობ მნიშვნელოვანია.

მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია, ყველას მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს მუნიციპალური სერვისებით, მონაწილეობა მიიღოს მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებსა და მერიის მიერ ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში.

ვინაიდან კულტურული ტურიზმის როლი მეტად მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარებისათვის, მომდევნო წლებში ტურისტულ სეზონზე, მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციით მოეწყობა მასშტაბური კულტურულ-სანახაობრივი ღონისძიებები. კულტურული აქტივობები მორგებული იქნება ყველა თაობის ადამიანებისათვის და სანახაობრივად საინტერესო და მრავალფეროვანი როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუმრებისათვის.

## 11. გარემოს დაცვა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა, მათ შორის შეგროვება და გატანა, და ქუჩების დასუფთავება ხორციელდება 100 პროცენტით (რელიეფის შესაძლებლობიდან). მუნიციპალური წილის მქონე შპს „ბორჯომის კეთილმოწყობის და დასუფთავების" სამსახურის მიერ, რომელიც აგროვებს მუნიციპალურ მყარ ნარჩენებს და გადააქვს ისინი ნარჩენების გადამზიდავ სადგურში, რომელსაც მართავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული მყარი ნარჩენების მართვის კომპანია .

ბორჯომსა და ბაკურიანში მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვების მომსახურება მოიცავს - 95 პროცენტს, ხოლო დანარჩენ დასახლებებში დაახლოებით 70 პროცენტია. მომსახურების საშუალო მაჩვენებელი 80 პროცენტია. ქალაქში და ზოგიერთ სოფლებში, მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვება ხდება 1.1$მ^3$ კომუნალური/საზოგადოებრივი კონტეინერების საშუალებით, ხოლო დანარჩენები მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვების მომსახურებას იღებენ ეგრეთ წოდებული „ზარის" სისტემის საშუალებით (მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვება კონტეინერების გარეშე, სიგნალის და/ან წინასწარ შედგენილი გრაფიკის გამოყენებით).

მინერალური წყლების გარდა, სარგებლობის ლიცენზიები გაცემულია: თერმული წყლების მოპოვებაზე, ანდეზიტის მოპოვება/დამუშავებაზე, სილიკომანგანუმის მოპოვებაზე, მტკნარი წყლის სარგებლობაზე. 2022 წლის ბოლოსთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მიზნით სულ გაცემულია 53 ლიცენზია, სხვადასხვა ვადით.

**დიაგრამა №14 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცემული ლიცენზიების რაოდენობა**



მუნიციპალიტეტის მთავარი გამოწვევაა სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გარემოს დაბინძურებისგან დაცვა და ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელი იერსახის ჰიგიენური და ესთეტური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა. მუნიციპალიტეტისთვის აქტუალურია ნარჩენების სწორად მართვა, დახარისხება და მათი შემდგომში გამოყენება. 2022 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაამტკიცა მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა, რომელიც მიმართულია 2022-2027 წლებში ნარჩენების მართვის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაზე.

მუნიციპალიტეტში დასაწყებია ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური ურნების განთავსების პროცესი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების მიზნით. ასევე გაგრძელდება ნარჩენების მართვის გეგმით დასახული მიზნების, მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტში ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების (სეპარირება) და რეციკლირების სისტემების ეტაპობრივი დანერგვის მიღწევისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის არასტაბილური მაჩვენებლების ფონზე მთავარ გამოწვევად რჩება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა (ტარიფები), რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“. ბორჯომის მინერალურ წყალთან მიმართებაში 2013 წელს კანონში განხორციელდა ცვლილება და მოსაკრებლის ოდენობა 1 მ$^3$ - წყალზე განისაზღვრა 30 ლარით. როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო ბაზარზე ბორჯომის მინერალური წყალი გამოირჩევა საკმაოდ დიდი მოთხოვნით და კონკურენტუნარიანობით. მინერალური წყლები, როგორც ბუნებრივი რესურსი წარმოადგენს ამოწურვად რესურსს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოპოვებისთვის განისაზღვროს ისეთი მოსაკრებელი, რომელიც ადეკვატური და სამართლიანი იქნება მისი ღირებულებისა და მოთხოვნასთან მიმართებაში. ბაზარზე საქონლის საბაზრო ღირებულების ზრდა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს ყველა სახეობის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებლის ოდენობების გადახედვა/ცვლილება. მოსაკრებლების ოდენობის გაზრდა მნიშვნელოვნად გაზრდის ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლებს, რაც თავის მხრივ მოხმარდება პრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტების/პროგრამების განხორციელებას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი გარემოსა და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის ყველაზე მთავარი რისკი და ურთულესი გამოწვევა ეს არის ხაშური-ახალციხე-ვალე (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა, რომელიც წარმოადგენს საკურორტო ქალაქის მთავარ მაგისტრალს და ხეობას ყოფს ორ ნაწილად. საავტომობილო გზაზე დღის ნებისმიერ მონაკვეთში გადაადგილდება როგორც მსუბუქი და სამგზავრო, ასევე მაღალი გამავლობის მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები. გზა სამცხე-ჯავახეთის რეგიონს აკავშირებს ქვეყნის ძირითად ნაწილთან. წლის ყველა დროს საკურორტო ქალაქს უამრავი ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი სტუმრობს, შესაბამისად ქალაქის ეკონომიკური აქტივობა ძირითადად სწორედ ტურისტების საშუალებით ხდება. ქალაქში ვიწრო გზაზე მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება ზრდის ამტვერების და უსაფრთხო გადაადგილების

რისკებს. ალტერნატიული, შემოვლითი გზის მშენებლობის აუცილებლობა, რომელიც ქალაქის გვერდის ავლით ცენტრალურ ავტომაგისტრალთან დააკავშირებს მნიშვნელოვანია როგორც გარემოსდაცვითი, ასევე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

## 12. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერია. მერიაში დასაქმებულია 111 მოხელე. მათ შორის 51 ქალი. ხოლო საკრებულოში 53 მოხელე (მათ შორის საკრებულოს დეპუტატები), აქედან 21 მოხელე ქალია. მუნიციპალიტეტს ასევე დაფუძნებული აქვს თექვსმეტი ერთეული ა(ა)იპ და ერთი შპს, რომლის ძირითადი ფუნქციები მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური მომსახურებაა. თითოეულ ორგანიზაციაში დასაქმებულთა სქესი დაბალანსებულია, თუმცა გარკვეულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ.

მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა მოქმედებს. მისი დახმარებით ორგანიზაციებს თანამშრომლებთან, მოქალაქეებთან და სხვა უწყებებთან კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ - ქაღალდის დოკუმენტები მთლიანად ელექტრონულით ჩანაცვლდა, შემცირდა მოქალაქეთა მომსახურების დრო, სერვისების მიწოდების პროცესი კი სრულყოფილი და ეფექტური გახდა, ამოქმედდა დოკუმენტების ელექტრონული არქივი და მოქალაქეთა განაცხადების შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები. ამასთანავე, პროგრამის ერთიანი ელექტრონული ბაზის დახმარებით, ორგანიზაციებს შორის დოკუმენტების მოცვლა სრულად ავტომატიზებული გახდა, რაც ამცირებს მათ ფინანსურ და დროით ხარჯებს, საქმიანობას კი კიდევ უფრო ეფექტურს ხდის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეუძლია მიიღოს მათთვის საჭირო მომსახურება შემდეგ საჯარო დაწესებულებებში:

- ✓ სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“;
- ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი;
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს ბორჯომის სახანძრო-სამაშველო განყოფილება;
- ✓ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ბორჯომის სერვის ცენტრი;
- ✓ შპს „ენერგო-პრო ჯორჯია“;
- ✓ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი;
- ✓ სს „სილქნეტი“;
- ✓ სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“;
- ✓ სსიპ „საგანმანათლებლო რესურს ცენტრი“;
- ✓ შსს „სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველო“;
- ✓ რაიონული სასამართლო;
- ✓ ეროვნული სატყეო სამმართველოს სამცხე-ჯავახეთის განყოფილება;

- ✓ შპს „საქართველოს ფოსტა“;
- ✓ სს „საქორგაზი“;

ეფექტური მმართველობა, მოწყვლადი ჯგუფებისთვის დამატებითი სერვისების არარსებობა და მუნიციპალური სამსახურების მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხი რჩება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მთავარ გამოწვევად. მუნიციპალური მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ამაღლების პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი, ეფექტური და უსაფრთხო ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას და განვითარებას. როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე ბიზნეს სუბიექტებისათვის, ელექტრონული სერვისების დანერგვა მნიშვნელოვნად გაამარტივებს მუნიციპალური მომსახურების მიღების პროცესს, შეამცირებს მომსახურების მიღების ვადებს, გააუმჯობესებს კონტროლს გაწეულ მომსახურებაზე.

ამ მიმართულებით მომდევნო საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტი გააგრძელებს წინა წლებში შემუშავებული ელექტრონული სერვისების დახვეწისა და ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვის პროცესს, ისე რომ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ყველა მომსახურების ელექტრონულად მიწოდება მოქალაქეებისათვის - „ერთი ფანჯრის“ პრინციპით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განისაზღვრება 45,808.370 ლარით.

**დიაგრამა №15 ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები**




ბორჯომის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამები მეტნაკლებად გენდერულად მგრძნობიარეა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 1132,57 ლარს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2021 წელს 2020 წელთან შედარებით გაიზარდა 2,735,100 ლარით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2022 წელს 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 5,697,700 ლარით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2023 წელს 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 8,960,170 ლარით.

დიაგრამა №16 ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები




| | საკუთარი შემოსავლები (2021) | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი (2021) | სულ (2021) | საკუთარი შემოსავლები (2022) | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი (2022) | სულ (2022) | საკუთარი შემოსავლები (2023) | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი (2023) | სულ (2023) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაზუსტებული გეგმა | 20924.8 | 7445.4 | 28370.2 | 26936.3 | 7100.1 | 34036.4 | 32402.1 | 8116.4 | 40518.5 |
| ფაქტი | 25172.1 | 7543.5 | 32715.6 | 28066.5 | 7098.7 | 35165.2 | | | |

ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი, წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება და განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტები.

მომდევნო წლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართვა ბიუჯეტის ნაწილის დაგეგმვაში და ქალაქის განვითარებისთვის სასარგებლო იდეების მოზიდვაში. ბიუჯეტში აისახება ხმის მიცემის გზით მოქალაქეთა მიერ შერჩეული საუკეთესო იდეები (ღონისძიებები).

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის გეგმით გათვალისწინებული პროექტებისა და აქტივობების უმეტესობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნება დაფინანსებული, რაც დამატებით უსვამს ხაზს მუნიციპალიტეტის სურვილს ხელი შეუწყოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას.

## 13. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| • „ბორჯომი“ როგორც ბრენდი;<br>• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა;<br>• მიმზიდველი გარემო;<br>• მრავალფეროვანი ლანდშაფტი (ფლორა და ფაუნა);<br>• ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, თერმული მინერალური წყლები, სამკურნალო თვისებებით; | • ტურისტული მომსახურების დაბალი დონე;<br>• კვალიფიციური ადამიანური რესურსის ნაკლებობა (უცხო ენის არცოდნა, სერვისის სფეროს არასაკმარისი ცოდნა);<br>• გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე;<br>• ტყის რესურსის შეშად გამოყენება;<br>• ღარიბი აგრარული ადგილობრივი ბაზარი; |

| | |
|---|---|
| • ტურისტული რესურსის მრავალფეროვნება და სიმრავლე, ეკო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, სათავგადასავლო-ექსტრემალური ტურიზმი, სამთო-სათხილამურო ტურიზმი.<br>• კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიმრავლე;<br>• მრავალფეროვანი ტურისტული ინფრასტრუქტურა (მაღალი კლასის სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო, ჰოსტელი, პარკები მუზეუმი, რომანოვების სასახლე);<br>• ინვესტიციების განხორციელების დიდი დაინტერესება და პოტენციალი; (სასტუმრო ბიზნესი)<br>• მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; | • ადგილობრივი სამუშაო ძალის გადინება;<br>• პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არარსებობა;<br>• არსებული და დამწყები ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომის ნაკლებობა;<br>• სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ახალი ინოვაციების შესახებ ცოდნის ნაკლებობა;<br>• არასაკმარისად განვითარებული ტურისტული და ბიზნეს ინფრასტრუქტურა (გასართობი ობიექტები კინოთეატრი, კლუბი კაფე, სხვა გასართობი; სათხილამურო ინფრასტრუქტურა; წყალმომარაგება/ წყალარინება) |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| • მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია;<br>• სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშემწყობი პროგრამები სოფლის მეურნეობის დარგში;<br>• მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდების დაფინანსებით კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა;<br>• მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები; | • კლიმატის ცვლილება/გლობალური დათბობა;<br>• ტყის და ბუნებრივი რესურსის არამდგრადი გამოყენება (გარემოს დაბინძურება, ტყის რესურსის შემცირება დეგრადაცია);<br>• სტიქიური მოვლენები;<br>• ახალგაზრდების მასიური მიგრაცია მაღალმთიანი სოფლებიდან; |

ბორჯომის მუნიციპალიტეტს გეოგრაფიული მდებარეობა, დედაქალაქთან სიახლოვე, ბიომრავალფეროვნება, რეკრეაციული და დაცული ტერიტორიები, დიდი ტყის მასივები, სამკურნალო მინერალურ-თერმული წყლები, კარგად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, მიმზიდველია ტურისტებისთვის და იძლევა შესაძლებლობას სწორი მარკეტინგისა და მნიშვნელოვანი საინვესტიციო პაკეტების შემუშავებით, მნიშვნელოვნად გაიზარდოს ინვესტიციების მოცულობა, ასევე ტურისტული ნაკადი.

სოფლის მეურნეობის და მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები იძლევა შესაძლებლობას, რომ მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის და სხვა სამრეწველო პოტენციალი ბოლომდე იქნას ათვისებული, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებას, უმუშევრობის დონის შემცირებას და მეწარმეთა შემოსავლის ზრდას.

დონორი ორგანიზაციების და სახელმწიფოს მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა კერძო სექტორის მოთხოვნების შესაბამისად გადაამზადოს ადგილობრივი კადრები, განახორციელოს ადგილობრივი ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, შეამციროს მცენარეთა დაავადებები და გარემოს დაბინძურება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის თითოეული თემატური ბლოკი, SWOT ანალიზის გათვალისწინებით, ასევე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები შემუშავდა ყველა მონაწილე მხარის ჩართულობით.

## 14. ხედვა, მიზნები და ამოცანები

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, თავისი ადგილმდებარეობით, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით (სამკურნალო მნიშვნელობის მინერალურ - თერმული წყლები), უნიკალური ბუნებით (რეკრეაციული და დაცული ტერიტორიები), მრავალფეროვანი ტურისტული რესურსით (ეკო ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი, სამთო - სათხილამურო ტურიზმი) და ტურისტული ინფრასტრუქტურით, ქმნის საუკეთესო გარემოს სხვადასხვა სექტორში ბიზნესის დასაწყებად და ადგილობრივი ეკონომიკის გასავითარებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იზრდება ინვესტიციების ოდენობა (შენდება, როგორც მაღალი კლასის სასტუმროები, საცხოვრებელი კორპუსები, ვითარდება და ფართოვდება საოჯახო სასტუმროები, შენდება ახალი საბაგირო და სათხილამურო გზები). თუმცა, მუნიციპალიტეტის სრულად დატვირთვისთვის არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა არასაკმარისია.

მუნიციპალიტეტში ტურისტული ნაკადის მზარდი ტენდენცია, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამები სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ბორჯომის მუნიციპალიტეტს, თავისი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, აძლევს შესაძლებლობას გახდეს ერთ - ერთი ეკონომიკურად სწრაფად მზარდი მუნიციპალიტეტი საქართველოში, რომელიც გამორჩეული იქნება მზარდი სამუშაო ადგილებით, მიმზიდველი ტურისტული, საინვესტიციო და საცხოვრებელი გარემოთი.

წინამდებარე გეგმის მიზანი, არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი კეთილდღეობის მიღწევის მხარდამჭერი ამოცანების განსაზღვრა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. დოკუმენტში ასახულია მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზი, გამოწვევები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და მიზნები.

2023-2026 წლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძველი. ამ მიზნის მისაღწევად, მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო, ერთობლივად, ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მმართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა - რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა, მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთებით აღსავსე და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს დააყენებს ინოვაციური, ეფექტიანი პროდუქტის (მომსახურეობის) მიღების

მქონე, განვითარებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები, რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ადამიანი და მასზე ზრუნვა. ადამიანის სოციალურ - ეკონომიკური უფლებების დაცვა და გაძლიერება მუდამ იქნება მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები, რომელიც გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის მოსახლეობის გამოკითხვა. ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, გაიმართა შეხვედრები სამოქალაქო საზჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან. შემუშავდა 2024 - 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:




საჯარო მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)

**მიზანი** - ეფექტური საჯარო მმართველობა და მუნიციპალური სამსახურების მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხი წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან საფუძველს. აღნიშნული სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ - ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზერვო ფონდი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, სასესხო

ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, წვევამდელთა ტრანსპორტირება, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება.

ამოცანა 1. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა (01 01);

ა) საჯარო მმართველობა დაფუძნებული უნდა იყოს მოქალაქეთა ჩართულობასა და თანამონაწილეობის პრინციპზე. მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი დემოკრატიის საფუძველია. მოქალაქეთა ჩართულობა გააუმჯობესებს საჯარო მმართველობის ხარისხს, იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იქნება უფრო შესაბამისობაში მოქალაქეთა საჭიროებებთან, შესაძლებლობებსა და მოთხოვნებთან.

***ინდიკატორი:*** მუნიციპალიტეტის ინდექსი (www.lsgindex.org.ge) (ბლოკი 3 - მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება);

***საბაზისო: 2019 წელი*** - 16 %; ***2021 წელი*** – 19 %

***სამიზნე: 2024 -2025 წელი*** - (+9 %) – 28 %

ბ) საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით უნდა დაინერგოს ახალი ელექტრონული სერვისები. ელექტრონული მმართველობის დანერგვა ნიშნავს საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, საჯარო ადმინისტრირების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდას. ახალი ელექტრონული სერვისების განვითარება მმართველობის მუშაობას გახდის უფრო ეფექტურს და გამჭირვალეს.

***ინდიკატორი:*** მუნიციპალიტეტის ინდექსი (www.lsgindex.org.ge) (ბლოკი 3 - ელექტრონული მმართველობა)

***საბაზისო: 2017 წელი*** - 15 %; ***2019 წელი*** - 16 %; ***2021 წელი***– 45 %

***სამიზნე: 2024 -2025 წელი*** - (+29 %) – 74 %

გ) საჯარო ინფორმაციის პრაქტიკული გამოქვეყნება ღია მმართველობის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და გავლენა აქვს მუნიციპალიტეტის ღიაობის, გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხზე. მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიმუშაოს პრაქტიკულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის საკუთარი ნუსხა და გახადოს თანაბრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის

.

***ინდიკატორი:*** მუნიციპალიტეტის ინდექსი (www.lsgindex.org.ge) (ბლოკი 3 - ელექტრონული მმართველობა)

***საბაზისო: 2017 წელი*** - 17%; ***2019 წელი*** - 8 %; ***2021 წელი*** -23%

***სამიზნე: 2024 -2025 წელი*** - (+45 %) – 78%

ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

**მიზანი** - მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ - ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ტრანსპორტის კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას. კომფორტული და უსაფრთხო გარემო უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საკურორტო ზონას, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოწესრიგებული და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც მეტად საინტერესოს და მიმზიდველს ხდის მუნიციპალიტეტს, როგორც ადგილობრივი ისე უცხოელი ვიზიტორებისათვის. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. აღნიშნული მიმართულებით უმნიშვნელოვანესია, როგორც ქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებსა და დაბებში მოწესრიგებული ერთიანი იერსახის შექმნა, მოწყობილი სარეკრეაციო და გასართობი სივრცეები, სკვერები, პარკები, ნაკრძალები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეები, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, გამართული წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელი. ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ინფრასტრუქტურა წარმოადგენს, ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტი პროექტების დასაფინანსებლად.

ამოცანა 1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა შენახვა (02 01)

***ინდიკატორი :*** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შიდა გზების საერთო სიგრძე შეადგენს 283.99 კმ-ს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მოწესრიგებული (ბეტონი, ასფალტი) საერთო სიგრძეა 146.769 კმ. რაც, მთლიანი შიდა გზების 51%-ს შეადგენს.

ფეხით სავალი ნაწილები მოპირკეთებულია, მოწესრიგებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. ზოგიერთი ნაწილი მოპირკეთებულია ასფალტის საფარით ზოგიერთი კი, ბუნებრივი ქვით (ბაზალტი/ გრანიტი).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების საერთო რაოდენობა შეადგენს 145-ს, აქედან საფეხმავლო - 30 და საავტომობილო - 115.

მოწესრიგებული ხიდების რაოდენობა შეადგენს 103. სარეაბილიტაციო ხიდების რაოდენობა 41 და აქედან, სარეაბილიტაციო 38 ხიდი არის საავტომობილო და 3 საფეხმავლო.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, „არდაგანის დასახლებაში“ არის საფეხმავლო ხიდი, რომელიც არ ექვემდებარება რეაბილიტაციას.

პერიოდულად, მიმდინარეობს გარე - ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა - პატრონობა. ასევე, ეტაპობრივად მიმდინარეობს სექციური ვიდეო კამერების, გარე - ვიდეო სამეთვალყურეო კამერებისა და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების დამონტაჟება ახალ ლოკაციებზე, ავტომობილების გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის შეზღუდვის პრევენციის მიზნით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა, მერია მუდმივად ცდილობს მუნიციპალიტეტში სიახლეების დანერგვას, ახალი იერსახის შექმნას და მოვლა - პატრონობის სამუშაოების ფარგლებში, უკვე არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანებების შეკეთებას, ექსპლუატაციის ვადების გახანგრძლივების მიზნით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებობს ისეთი სოფლები სადაც ცხოვრობს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა, ასეთებია: ტაბაწყური, მოლითი, ბალანთა და ჭიხარულა.

სოფელი ტაბაწყური ტურისტებისათვის საკმაოდ მიმზიდველი ადგილია და ხშირადაც სტუმრობენ მას, თუმცა დაბრკოლებას წარმოადგენს ბაკურიანიდან სოფელში მისასვლელი გზა. მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული სოფლები წარმოადგენს მაღალმთიან ზონას და ზამთრის პერიოდში უხვი ნალექის გამო, გაზაფხულამდე მოწყვეტილია არიან მუნიციპალიტეტის ცენტრს. აღნიშნული გზა, ზამთრის პერიოდში, თითქმის ყოველდღიურად საჭიროებს მძიმე ტექნიკით გაწმენდას. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა ახალქალაქის საზღვრიდან სოფელ ბალანთის გავლით ტაბაწყურამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. პროექტი 2020 წელს დაიწყო, რაც უზრუნველყოფს იქ მცხოვრები მოსახლეობის შედარებით მარტივ წვდომას მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სერვისებზე, რადგან ტრანსპორტირების დრო შემცირდება, მოსახლეობა აღარ მოსწყდება გარესამყაროს ზამთრის სეზონზე და ტურისტებიც მარტივად ესტუმრებიან ტაბაწყურის ტურისტულ ზონას.

მუნიციპალიტეტის მიზანია დაინერგოს მეტი სიახლე, მოეწყოს ახალი ტურისტული ლოკაციები, მოწესრიგდეს საგზაო, წყალმომარაგებისა თუ სხვა ინფრასტრუქტურა.

***საბაზისო: 2023 წელი*** - 51%;

***სამიზნე: 2024 - 2025 წელი*** - (+20 %) – 71%

<u>ამოცანა 2. წყლის სისტემების განვითარება (02.02)</u>

***ინდიკატორი:*** ბორჯომის მუნიციპალიტეტის თითქმის მთელს ტერიტორიაზე არსებობს წყალმომარაგების ქსელი, გარდა სოფლებისა: დიდი მიტარბი და თორი.

სასმელი წყლის მაგისტრალის მთლიანი სიგრძე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ქალაქში, სოფლებსა და დაბებში შეადგენს 443.20 კმ-ს. აქედან სარეაბილიტაციო მონაკვეთების მთლიანი სიგრძე შედგენს 101.5 კმ-ს, რომლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს ეტაპობრივად, ბიუჯეტში არსებული თანხების შესაბამისად.

წყლის სისტემის ქსელის მოწესრიგება სოფლებსა და დაბებში საკმაოდ მასშტაბურ სამუშაოებს მოითხოვს, რაც დაკავშირებულია დიდ თანხებთან.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასმელი წყალი და მიზანია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ნებისმიერ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, იქნება მუდმივი მაცხოვრებელი თუ ჩამოსული დამსვენებელი დაკმაყოფილებული იყოს სუფთა 24 საათიანი სასმელი წყლით.

*საბაზისო: 2023 წელი* - 80%;

*სამიზნე: 2024 - 2025 წელი* - (+10 %) – 90 %

<u>ამოცანა 3. გარე განათება (02.03)</u>

*ინდიკატორი:* ბორჯომის მუნიციპალიტეტის თითქმის მთელ ტერიტორიაზე მოწყობილია გარე განათების ქსელი. გამონაკლისია სოფ. თორი, სადაც არ არსებობს ელექტრო ენერგიის საკომუნიკაციო არხი. თუმცა მუნიციპალიტეტმა გამონახა ალტერნატიული გზა და მოახდინა მზის ელექტრო სადგურების მონტაჟი, რომელიც მოსახლეობაში უზრუნველყოფს უფასო ელექტრო ენერგიის მიწოდებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1648 ერთეული გარე განათების ბოძია. გარე განათების ქსელის მოვლა - პატრონობას ახორციელებს ა(ა)იპ ,,ბორჯომის გარე განათება“.

*სამიზნე 2024-2025 წელი:* ბორჯომის მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს გარე განათების ქსელის გაუმჯობესებას და ბორჯომის რაიონის მასშტაბის სრულად ათვისებას (დაახლოებით 80-100 ერთეული გარეგანათების ბოძის დამატება). ქალაქ ბორჯომის და დაბა ბაკურიანის ცენტრალური ქუჩებზე გარე განათების სადენები მოთავსდება მიწის ქვეშ. ნაწილობრივ მოხდება არსებულ ბოძებზე მოძველებული ლამპიონების ახლით ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

*საბაზისო: 2023 წელი* - 80%;

*სამიზნე: 2024 - 2025 წელი* - (+10 %) – 90 %

<u>ამოცანა 4. მშენებლობა ავარიული შენობებისა და ობიექტების რეაბილიტაცია (02.04)</u>

*ინდიკატორი:* ქალაქის ერთიანი მოწესრიგებული იერსახის შექმნის მიზნით მიმდინარეობს ცენტრალურ ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია, აღნიშნული პროგრამა 2020 წლიდან დაიწყო მუნიციპალიტეტმა. ქალაქის მასშტაბით დასრულებულია 11 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს 3 კორპუსის და 2024 წლისათვის იგეგმება 5 კორპუსის რეაბილიტაცია.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე აქვს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამა, რომლის საშუალებითაც ახორციელებს ბევრ მნიშვნელოვან პროექტებს და ხელს უწყობს მოსახლეობას მოახდინონ მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები თანადაფინანსების საშუალებით.

საყრდენი კედლების თვალსაზრისით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაოდ რთული მდგომარეობაა. დაზიანებული საყრდენი კედლების რაოდენობა საკმაოდ დიდია და მოიცავს მასშტაბურ სამუშაოებს. აღნიშნული პრობლემის მოგვარება მოითხოვს კოლოსალურ თანხებს, რაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, მერია აქტიურად მუშაობს საკითხზე და ცდილობს პრობლემის მოგვარებას ეტაპობრივად ბიუჯეტში არსებული თანხებისა და დაზიანების მასშტაბების გათვალისწინებით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამომდინარე, ძირითადი სამუშაოები ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციისათვის მიმდინარეობს ცენტრალურ ქუჩებზე და სამომავლოდ დაიგეგმება ავარიული შენობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია შიდა ქუჩებშიც.

ასევე ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესია უახლოეს მომავალში მოგვარდეს საყრდენი კედლების პრობლემა ბორჯომის მუნიციპალიტეტში. აშენდეს ნაპირსამაგრი ნაგებობები ისეთ ადგილებში სადაც მდინარის კალაპოტის ადიდება საფრთხეს უქმნის მოსახლეობის უსაფრთხოებას.

***საბაზისო: 2023 წელი*** - 31%;

***სამიზნე: 2024 - 2025 წელი*** - (+9 %) – 40 %

<u>ამოცანა 5. კეთილმოწყობის ღონისძიებები (02.05)</u>

სანიაღვრე ქსელი გააჩნია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა საავტომობილო გზას, გარდა ისეთი სოფლებისა და დასახლებებისა სადაც არ არის მოწესრიგებული საავტომობილო გზები.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ამოცანაში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ცდილობს საავტომობილო გზები, სოფლებისა და დაბების თითოეული ჩიხი კეთილმოაწყოს ახალი ბეტონის, ან ასფალტის საფარიანი გზებით. გზების მოწესრიგების პროცესში კი, მნიშვნელობა რა თქმა უნდა ენიჭება სანიაღვრე არხების მოწყობას, რათა სავალი ნაწილიდან აცილებული იქნას წვიმისა და თოვლის ნადნობი წყალი. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბევრ სოფელში ვერ ხერხდება გზებზე სანიაღვრე არხების მოწყობა და ვიწრო გზების გათვალისწინებით ხდება წიგნისებური ბეტონის გზების მოწყობა, რომელიც სანიაღვრე არხების ფუნქციასაც ითავსებს.

სანიაღვრე არხების მოწყობასთან ერთად, მნიშვნელოვანი საკითხია მათი მოვლა. ამასთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას აქვს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზის გამყოლი სანიაღვრეების რეაბილიტაციის და მოვლა - პატრონობა“-ის პროგრამა, რომლის საშუალებითაც ხდება სანიაღვრე არხების შეკეთება და ამოწმენდა საჭიროებისამებრ.

სკვერებისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა განხორციელებულია როგორც ქალაქში ასევე მუნიციპალიტეტის ყველა დაბასა და სოფელშიც (სულ 49 სკვერი). მიმდინარე წელს დასრულდა ქალაქ ბორჯომში, მერაბ კოსტავას სახელობის პარკისა და მოედნის რეაბილიტაცია, აღნიშნული პროექტი უმნიშვნელოვანესია ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის ვინაიდან, ცენტრალური პარკის ყველა ვიზიტორები სწორედ ამ გზით გადაადგილდება. სრულად განახლდა პარკის ტერიტორია, მოეწყო ახალი

გასართობი სივრცეები, როგორც ბავშვებისათვის ასევე მოზრდილებისთვის. რეაბილიტაცია ჩაუტარდა კოსტავას სახელობის მოედანს, სავალ ნაწილზე მოეწყო ქვაფენილი, მოწესრიგდა მიმდებარე ინფრასტრუქტურა. ასევე, ქ. ბორჯომში რუსთველის ქუჩაზე სანაპიროს მიმდებარედ განხორციელდა სკვერის მოწყობა რაც ქალაქის შემოსასვლელს მეტად მიმზიდველს და მოწესრიგებულს ხდის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თითქმის ყველა დასახლებაში, ფუნქციონირებს მინი სპორტული მოედნები და გარე სავარჯიშო (სულ 14) მოწყობილობები, ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით.

სხვადასხვა სპორტული აქტივობების განვითარებისა და ხელშეწყობისათვის, მნიშვნელოვანია მოქმედი სტანდარტების შესაბამისი ცენტრალური საფეხბურთო მოედანის არსებობა ქალაქ ბორჯომში, რაც მწყობრიდან გამოსულია და საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას. აღნიშნული საფეხბურთო მოედანის რეაბილიტაციისათვის შედგენილია შესაბამისი საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ბიუჯეტში თანხების არსებობის შემთხვევაში დაიგეგმება სამუშაოების წარმოება.

მუნიციპალიტეტი გააგრძელებს სანიაღვრე არხების მოვლა პატრონობას. საჭიროების შემთხვევაში გარე სავარჯიშო მოწყობილობის დამონტაჟებას და სპორტული მოედნების კეთილმოწყობას.

***საბაზისო: 2023 წელი*** - 51%;

***სამიზნე: 2024 - 2025 წელი*** - (+9 %) – 60 %

<u>ამოცანა 6. მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (02.06)</u>

***ინდიკატორი:*** მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და ჩამოსულ სტუმრებს მოწესრიგებული და განახლებული საავტომობილო ინფრასტრუქტურა ემსახურება (სულ: 20 ერთეული isuzu-ს ტიპის სამგზავრო ავტობუსი და 1 ერთეული FORD-ის ტიპის მიკროავტობუსი).

მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება დაკავშირებულია ქალაქ ბორჯომთან მუნიციპალური და კერძო სამარშრუტო ხაზებით.

***სამიზნე 2024-2025 წელი:*** მუნიციპალიტეტის ავტოპარკი შეივსება მინიმუმ 5 ერთეული სამგზავრო ავტობუსით. ასევე შეეცდება შეინარჩუნოს მგზავრობის ტარიფის დაბალი საფასური.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა (03.00)**

**მიზანი** - „ბორჯომი სისუფთავის ქალაქი“. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის დაგვა - დასუფთავება, ნარჩენების დროულად გატანა და მოსახლეობისათვის კეთილსინდისიერი მომსახურეობის გაწევა. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის მაჩვენებლის გაუმჯობესება. ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახურის წარმოების განვითარება. ქუჩის პირას არსებული, სკვერების, ტროტუარების და ფეხით სავალი ნაწილების გაზრდილი დაგვის სიხშირე, კმაყოფილი ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტებისთვის მიმზიდველი სუფთა, კეთილმოწყობილი ქალაქი.

ამოცანა 1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა (03.01)

*ინდიკატორი:* დღეის მდგომარეობით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მომსახურებისა და გატანის არეალი შეადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 95%. ხოლო, ნარჩენების წლიური მოცულობა დაახლოებით 15 200 ტონაა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ხორციელდება სეპარირების პროგრამა. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი ფიზიკური პირებიდან შეადგენს 52%, ხოლო იურდიული პირებიდან 98%. მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის დასუფთავების აქციებს (წელიწადში 1-2 აქტივობა).

დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა (23.12.2022 წლის №გ-17.17223577 განკარგულება).

*სამიზნე 2024-2025 წელი:* უნდა მოხდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მომსახურების არეალის სრულად 100%-მდე გაზრდა. შემუშავდება დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ეფექტური პოლიტიკა, რაც, აისახება იმაში, რომ აღნიშნული მოსაკრებლის ამოღება მოხდება იურდიული პირების 100%-დან და ფიზიკური პირების 75% - 80%-დან.

საპილოტე დონეზე, წყაროსთან სეპარირების პროგრამის განხორციელება (დაახლოებით 10 - 12 ლოკაცია).

გაზრდილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების (დაახლოებით 20 000 ტონა- ყოველწლიური დინამიკის მიხედვით) ეფექტური მართვა.

სხვადასხვა ტიპის დასუფთავების აქციების გაგრძელება (წელიწადში 1 - 2 აქტივობა). ნარჩენებით, გარემოს დაბინძურების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა. მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში გაწერილი ღონისძიებების გატარება.

ამოცანა 2. ნაგავმზიდი სპეც. მანქანები და სანაგვე ურნები (03.02)

*ინდიკატორი:* მუნიციპალიტეტს ემსახურება 10 ერთეული სპეციალური ნაგავმზიდი, 1 ერთეული სპეციალური სარწყავ/დამგველი და 1 ერთეული სპეციალური წყალმზიდი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 650 ერთეული 1.1მ$^3$ ტევადობის ლითონისა და პლასტმასის კონტეინერი, ასევე 150 ერთეული 0,05 ლიტრის ტევადობის ლითონისა და პლასტმასის კონტეინერი.

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სპეციალური ნაგავმზიდის ყოველდღიური მარშრუტების და კონტეინერების განთავსების შესაბამისი ამსახველი რუკა.

*სამიზნე 2024-2025 წელი:* მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდება 800 ერთეული 1.1მ$^3$ ტევადობის ლითონისა და პლასტმასის კონტეინერი, ასევე 200 ერთეული 0,05 ლიტრის ტევადობის ლითონისა და პლასტმასის კონტეინერი.

მუნიციპალიტეტს მოემსახურება 11 ერთეული სპეციალური ნაგავმზიდი, 1 ერთეული სპეციალური სარწყავ/დამგველი და 1 ერთეული სპეციალური წყალმზიდი.

## განათლება (04.00)

**მიზანი** - განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულება სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმასთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტის დანერგვა, რათა გაჩნდეს მყარი საფუძველი აღსაზრდელის მომზადებისთვის სასკოლო განათლების მისაღებად. სკოლამდელი განათლების ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელის უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. ეროვნულ დონეზე შექმნილი სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში განვითარების მიმდინარეობის შესაფასებლად. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
აღმზრდელ - პედაგოგის ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა. დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ - პედაგოგის პროფესიის განვითარება, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

### <u>ამოცანა 1. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (04.01)</u>

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 12 სკოლამდელი დაწესებულება. აქედან:
ა) სრულიად ადაპტირებული (მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გათვალისწინებულია შშმ პირზე - პანდუსით, ლიფტით, საპირფარეშოთი და სხვადასხვა ინვენტარით) - 1 სკოლამდელი დაწესებულება.
ბ) ნაწილობრივ ადაპტირებული (მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გათვალისწინებულია შშმ პირზე) - 10 სკოლამდელი დაწესებულება.
გ) არა ადაპტირებული - 1 სკოლამდელი დაწესებულება.
სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 72 აღმზრდელ პედაგოგი და პედაგოგი. აქედან, 52 გავლილი აქვს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილებით მიღებული აღმზრდელ - პედაგოგთა პროფესიული სტანდარტი (პერსონალის 72%).
სკოლამდელ დაწესებულებებში სულ დარეგისტრირებულია 985 მოსწავლე.

***სამიზნე 2024-2025 წელი:*** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 12 სკოლამდელი დაწესებულება. აქედან:
ა) სრულიად ადაპტირებული (მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გათვალისწინებულია შშმ პირზე - პანდუსით, ლიფტით, საპირფარეშოთი და სხვადასხვა ინვენტარით) - 5 სკოლამდელი დაწესებულება.

ბ) ნაწილობრივ ადაპტირებული - 7 (მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გათვალისწინებული შშმ პირებზე) სკოლამდელი დაწესებულება.

გ) არა ადაპტირებული - 0 სკოლამდელი დაწესებულება

აღმზრდელ - პედაგოგის და პედაგოგის 100 პროცენტს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული სტანდარტი.

შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზა მოსწავლეების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში.

<u>ამოცანა 2. საგანმანათლებლო ცენტრისა და საჯარო სკოლების ფინანსური მხარდაჭერა (04.02) (04.03)</u>

***ინდიკატორი:*** ბორჯომის მუნიციპალიტეტი სრულ მხარდაჭერას უცხადებს მოსწავლე - ახალგაზრდების ჩართულობას საგანმანათლებლო სივრცეში. ა(ა)იპ „ჩვენი ბორჯომისათვის"- თან არსებულ ბავშვთა და ახალგაზრდობის განათლებისა და  განვითარების ცენტრის ხელშეწყობის მიზნით, ფინანსდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა შემეცნებით - შემოქმედებითი ბანაკების, ტრენინგების, ვორქშოპების, შემოქმედებითი კონფერენციების, ოლიმპიადების, ვიქტორინების, სპორტული შეჯიბრების, კონკურსების და ლექციების ჩატარების ღონისძიებები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მუდმივად გააგრძელებს საგანმანათლებლო ცენტრისა და სკოლების ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელების შედეგად მივიღებთ განათლებულ, სწავლასა  და წინსვლაზე ორიენტირებულ ახალგაზრდა თაობას, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული რაიონის კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

***საბაზისო: 2023 წელი*** - 45 %;

***სამიზნე:  2024 - 2025 წელი*** - (+10 %) – 55 %

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (05 00)**

**მიზანი** - მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ - ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას. რათა, ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

<u>ამოცანა 1. სპორტის სფეროს განვითარება (05.01)</u>

***ინდიკატორი:*** ა(ა)იპ ,,ბორჯომის სასპორტო სკოლა“ წარმოადგენს სპორტულ - გამაჯანსაღებელ ცენტრს, სადაც ფუნქციონირებს  ზამთრის სახეობის სექციები (5) სახეობა ზაფხულის (15) სახეობა , ესენია: ფეხბურთი

210 ბავშვი აქედან, 12 გოგო; ბერძნულ - რომაული ჭიდაობა (85 ბავშვი); რაგბი (50 ბავშვი); კარატე (25 ბავშვი აქედან, 5 გოგო); ჭადრაკი (30 ბავშვი აქედან, 8 გოგო); კალათბურთი (50 ბავშვი აქედან 15 გოგო); მძლეოსნობა (40 ბავშვი აქედან, 15 გოგო); ძიუდო (45 ბავშვი აქედან, 2 გოგო ); კრივი (30 ბავშვი); კინგ - ბოქსინგი (20ბავშვი); ტაიკვანდო (15 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (15 ბავშვი); მკლავჭიდი (25 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (25 ბავშვი) და საერთო ფიზიკური მომზადება.

ზამთრის სახეობა: სამთო სათხილამურო (20 ბავშვია ქედან 13 გოგო); ყინულის ჰოკეი (30 ბავშვი); საციგაო (10 ბავშვი); ბიატლონი (10 ბავშვი); ტრამპლინიდან ხტომა (20 ბავშვი), სულ, ბორჯომის სასპორტო სკოლის ბაზაზე, სპორტულ სახეობებს ეუფლება 750 ბავშვი, რომელთაც საწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3 - 4 ჯერ. სასპორტო სკოლაში დასაქმებულია ჯამში 59 ადმიანი, მათ შორის, 15 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 44 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები, პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

მუნიციპალიტეტში ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება როგორიცაა; უბნებისა და დაწესებულებების ჩემპიონატი ფეხბურთსა, ფრენბურთსა და კალათბურთში. ასევე, მოყვარულთა ფეხბურთი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია ახორციელებს. სპორტული ფესტივალი ,,სპორტი ბარიერების გარეშე“ და სხვა. ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსდება სარაგბო კლუბი ,,ტაო''.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1 ცენტრალური და 46 მინი სპორტული მოედანი, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. დღეის მდგომარეობით, თითოეული მათგანი გამართულ მდგომარეობაშია და დამაკმაყოფილებელია.

მუნიციპალიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართულობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას. სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; გონებრივი, სულიერი და ფიზიკური აღზრდის გზით ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, სპორტის განვითარება.

პროგრამა, ასევე, მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ, თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნება.

მუნიციპალიტეტი გაგრძელებს სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობას. შექმნის მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, რომ ბავშვების გაზრდის შემთხვევაში უზრუნველყოს სრულფასოვანი მომზადება. მუნიციპალიტეტი მიზნად ისახავს შექმნას სრულიად ახალი სასპორტო ბაზა, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე შესაბამისი ინვენტარით.

*საბაზისო: 2023 წელი* - 40 %;

*სამიზნე: 2024 – 2025 წელი* - (+18 %) – 58 %

<u>ამოცანა 2. კულტურის სფეროს განვითარება (05.02)</u>

***ინდიკატორი.*** კულტურული ცხოვრების და კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ -ერთი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ,,სამუსიკო სკოლა“, სადაც 300-მდე მოსწავლე ეზიარება მუსიკალურ განათლებას. სკოლაში 43 პედაგოგია დასაქმებული. ასევე, ფუნქციონირებს ა(ა)იპ ,,საბიბლიოთეკო გაერთიანება“, რომელსაც ქ. ბორჯომის გარდა დანარჩენ სოფლებში და დაბებში ჰყავს წარმომადგენლობა. (სულ 23 ბიბლიოთეკა).

გაერთიანებაში დასაქმებულია 47 თანამშრომელი და დაცულია წიგნების ფონდის 244628 ეგზემპლიარი.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“. ცენტრის 600 მოსწავლე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო სექციებზეა გადანაწილებული.

მუნიციპალიტეტი აფინანსებს სხვადასხვა იუბილის მოწყობას, ეროვნული და სახალხო დღესასწაულის აღნიშვნას. უფლებამოსილების ფარგლებში ეხმარება ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

მუნიციპალიტეტი კვლავ გააგრძელებს აღნიშნული დაწესებულებებისა და ღონისძიებების მხარდაჭერას. მისი მიზანია მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა კულტურულ ღონისძიებებში, ბორჯომის მოსახლეობისა და ჩამოსული სტუმრებისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნას, შშმ პირებისა და ეთნიკური მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობას. ტურისტისთვის საინტერესო და სასიამოვნო გარემოს შექმნას.

***საბაზისო: 2023 წელი*** - 20 %;

***სამიზნე: 2024 - 2025 წელი*** - (+3 %) – 23 %

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06.00)**

**მიზანი** - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

<u>ამოცანა 1. ჯანმრთელობის დაცვა (06.01)</u>

***ინდიკატორი:*** მუნიციპალიტეტში არსებობს ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი, რომელიც ახორციელებს: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო -

სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებას; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლს; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნო პროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარებას ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობას; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებას.

